



# ლიტერატურული გაზეთი

№7 (239) 12 - 25 აპრილი 2019

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

როსტომ ჩხეიძე  
**„ფიქრები“:**  
**შთამაგონებლად**

ესსე

ზაალ ებანოიძე  
ბალათერ არაბული

კოეზია

ზაზა ბიბილაშვილი  
**კოეზია,**  
**დანარჩენი ლიტერატურა,**  
**და დანარჩენი**  
2018

ჩანაწერები

ემზარ კვიციანიშვილი  
**რქანითელის მტევანი**

მაკა ცხვედიანი  
**იზმირელი მეთევზე**

პროზა

მარინა ბალავაძე:  
**„მაკულატურას**  
**არ**  
**ბამოვცემთ“**

ინტერვიუ







ციკლიდან: მეორე მისამართი

\*\*\*
სალამი რწმენას! —
რა შეუმჩნეველად გაფრენილა მოშიში წამი:
ბუდეებს წნავენ არნივები სევდიან ყეფით,
და უღრანები იწყებენ შრიალს.
ჯერ ისევ დღეა, მდუმარე ცა გახურავს თავზე,
როგორც ცოცხალი წყალგამყოფი ან ყრუ კედელი...
ახედე, მზეა ზოდიაქოს ქვემოთ ნათობს
და ფერს უმატებს ორნოხებში დანთქმულ შიმელებს.
კიაფობს ცეცხლიც (ფერადიანო, რა სათქმელია)
და შუქის სვეტზე ჰკიდია შენი რწმენის დროშა.
ჩემო მოტივო, ჩემო თქმავ,
ვის ბაგეებზე განახლდები:

— აუქშიე,
აუქშიე და ყორნის ჩრდილი —
ერთი კურცხალი შავი ღამე —
აფრინდება შენი ხნულიდან...

\*\*\*
ერთხელ ხილულის მონატრება მოითხოვს სახელს,
უცხო არილით განათებულს,
რომ გაგვინელდეს სიმძიმით...

ამოდ ნაქარგი მოლი ახლავს ამ მონატრებას,
დამშვენებული მზის სხივების ლილო-ჭრილოთი.

ხელის მოცარვის გააზრებაც საკმარისია,
რომ ტანზე ეკლის ბუსუსებმა გამოგვაფინოს.

ჩქამს ვაყურადებთ, ქარის ფრთაში ვახვევთ იმედებს
და სიჯიუტით ვეშურებით, საითაც იგი გვეგულება.

რალა თქმა უნდა, ჩალუსკუმებულ
ორნოხებს გაღმა გასვლას მოითხოვს
ყველა ამგვარი ალტკინება.

მზადა ვართ?! — მაშინ ორნოხებს იქით,
მიზნამდე კიდევ სევდის ბალია,
დაუმნიფებლად დარჩენილი ვაზის მტევნებით.

არის საშველი! — ჩვენმა მზერამ უნდა შეთვალოს
ის უმნიფარი ვენახები სევდის ბალისა,
რომ გზა გაიხსნას — ერთხელ ხილულის
ხელმეორედ დასანახავად
და გაგვინელდეს სიმძიმით და თავი ჩვენი
ცხოვრებისგან გარიყულად არ მივიჩნიოთ.

\*\*\*
არის თილისმა მაინც ფარული,
მიმწუხრის ჩრდილთა ცოვრებაც ჩუმი
და შებინდების ფერმკრთალ წამნამზე
დაკიდებული ჭვირვალი ცვარი.

გალე კარი, საიდუმლო შენი ათასი
აფორიქებს მოკვდავის სმენას;
და რა თქმა უნდა, არ ძალუძს ენას,
გაიმეოროს ყოველივე შენს გასაგონად.

მოცინარია მზერა შენი
თუ ირონია შევნი ბაგეს,
როს უჩინარის ხელით ნაგრეხ
საბელიდან გვინდა გასხლტომა.

ჭინჭრის სინათლეს — მწვანე ბაირალს —
მოვიშველიებ შენკენ მავალი,
მთავარი რაკი ეგ ღამეა —
სანყისივით მომლოდინე ჩვენი ჩრდილისა.

არის თილისმა მაინც ფარული,
მიმწუხრის ჩრდილთა ცოვრებაც ჩუმი
და შებინდების ფერმკრთალ წამნამზე
დაკიდებული ჭვირვალი ცვარი.

ა, შენი ცეცხლიც!


აქა-იქ ჟონავს მოშურნე თვალი და ბგერა მრეში
ბაგით მავანის, —
ვარდის შეფრფვინვით მომზირალი შენიშნეს შენში.

შმაგო! — საცაა ძილნაკრთობი დარეკავს მნათი
და სინათლით მოთრთვილავს მინას.

საფიქრალია, რა სიტურფით ან რა ფერობით
გაიღარდილებ მერეთის კართან;
მიეძინება და ბროლის წვიმით
სველდება გზა-გზა ფიქრის მოლი, —
იქ, რა აგიჩნდა სანიერზე — ფარფატებს ქორი
თუ ქორის ფრთაზე დანდობილი ნისლი ნატიფი.

ა, შენი ცეცხლიც:

მარტის კარვიდან ფერთოვლი გედი —
აფრინდება თეთრი ტყემალ!



ზაალ
ებანოიძე

უპასუხო შეკითხვა

ძნელიაო, — თქვა კაცმა, დანანებით,
მერე გაიმართა და თოხის ტარს დაეყრდნო, —
მედასტურეს დააყურა...
ათასის ხმა დაუბრუნდა თანხმობის ნიშნად.
მე ახლა შუაკაცი ვარ,
მარცხნივ თოხის ტარს დაყრდნობილი ეს გლეხია,
მარჯვნივ — ათასი მედასტურე.
ვითომ, რაზე უნდა ეთქვა — ძნელიაო
ამ შარვალაკარნახებულ, ღვთის თვალეზიან მეყანეს?
სამყაროს რაობაზე დაფიქრდო, რომ შეგახსენოთ,
ირონიაგარეულ ღიმილს ფარვით შემაგებებთ
და ზედ ჩემი სახელდახელოდ მიკვლეული
აზრი — მახვილი
ნაპერწკლებს გააჩენს.

ახლახან ღარწყალს შეეყუდა,
სახეზეც შეიფათქუნა,
როცა შემობრუნდა და ცას შესცინა,
მეგონა — მისი წვერმოძალეული სახე
მზის მინიერი მოდელი იყო.
ამ კაცმა იცის:
ჯვალაბი უნდა არჩინოს — ცოლი და შვილი;
და ძალიანაც რომ გაუჭირდეს,
თავს არ დაამადლის...

ლაბირინთს მიეკვალავ,
ათასი დაშვების უფლებას ვაძლევ თავს:
ყმანვილკაცობისას გულისტოლს ხომ არ დააშორეს
და ახლა, შარვალაკარნახებულმა და
ღვთის თვალეზიანმა მეყანემ,
რაკილა თავი მარტო დაიგულა —
სარქველი ახადა სატკივარს.

„ჩამდენს ერთი ცოდვა ადევს,
დამბრალებელს — ათასიო“ —
საჭიროების ჟამს შეგვახსენებს ხალხი...

ვაითუ ჩემი ვარაუდები თქვენს თვალში ღიმილს იწვევს
და მე ანცი ბიჭივით
ბალზე გასული, ტყემლის ტოტს ვეტანები.

კი, დღე მიმწუხრისკენ გადაღმერთილა
და სანიერზე კალათიანი დედაკაცი არსად ილანდება.

ვითომ ასეა?! სადილი დაუგვიანეს და
თოხი დაუმძიმდა მეყანეს?!

დუმხართ? რა მოგდით, თქვე კაი ხალხო,
მტერი ხომ არ გგონივართ —
გადაკვრით მაინც მიმანიშნეთ სიმართლე,
რაკილა თანხმობა მიეცით და
ამით პრეტენზია განაცხადეთ გაგებაზე, —
მე თქვენ გენდობით!

„გაუჟილს გატეხილი სჯობიაო“ —
ესეც გვახსოვს.

გამოტყდით! —
თუ ზრდილობის გულისათვის დაემონმეთ, —
ერთ ბანაკში ვყოფილვართ!

პასუხი!..
პასუხი!..
პასუხი!..

ცისკენ შემართულ შეკითხვაგარეულ ათასის
გამოხედვას
მეტი ძალა გააჩნია!

იხარეთში თოვს...

აივნიდან ხორბალს გადმოვანებე, რა ვიცი,
ვისი სული დაფრინავს,
ვისი ნატვრა დაფრინავს, მერაბ?!

ხომ შეეძლო განგებას,
ჩვენზე ბევრი ცხენის ძალით ძლიერს,
ჩიტებად გავეჩინეთ, მერაბ!
გიფიქრია ამაზე?!
სხვა სილამაზე,
სხვა ფერადი ოცნება მიგვაბამდა ბუდეს.

თავის მოცდენაა ამგვარი ფიქრი
თუ... სურვილმა გაჟონა
სიჭაბუკის ნილაბი...
იმერეთში თოვს და სპეტაკი ფიფქით
ფრთებს დავიფარავდით, მერაბ!..

\*\*\*
მხურვალ ფლატეებს
ლოლოები — სურო ჰკიდია,
ამ ბილიკებზე იჭვით მიდიან...

მთაზე დამდგარი ჩემი კარავი
ლამის ასნიოს ფიქრის ბორიომ, —
აქ ღამე იცის დარდიანი და შემპარავი...

სად არის კვალი, მე რომ დავტოვე?

ჩემო თეთრ-შავო მოგონება, იღვიძებს ქარს
და ველოდები ტყეში ფეხის ხმას
და სმენა ჩემი მოღნიოშე ქარს აყურადებს...

რიბირაბოში ნახულო გზაო,
ეს ქედი ახლა ნისლის ქაფიდან
ამოტივტივდა და ცასთან დაბოს.

მე ვინ დამპირდა გვირილის კონას?
ან ამოუხსნელ ფერად ზმანებებს
ვინ მიმცა ხელში ვით ბედის მონა?!..

იღვიძებს ჩემი სიზმრების ფსკერზე
შენი ჩამქრალი სულის ფრთოსანი



და მსურს, რწმენისთვის შენირულ ვერძებს,  
ლამაზებს, ქართულ სალამოსავით,  
ალერსი, როგორც ხელის მტევანი,  
შევახო რქებზე.

**თეთრი მხედარი**

საით გარდახდა იმ გორიდან თეთრი მხედარი, —  
აბოლებული გაზაფხული?! — ეჭვი, ვინ ხარ?! —  
დასაბამიდან ამდაგვარად რომ გვერეკები.  
ოკრობოკროა, ჯაგნარევი თუმცა გზა-კვალი,  
მინც ნუთუბში იზომება, —  
მოვეყვები როგორც ხეივანი ჯოხის კანკალით.  
ეს გათენება შუქ-ბაღასხით მიახლოვდება  
და უფრო მეტი რომ მტკიცა და რომ მიხარია —  
დაერქვას ამას აუხსნელი შენი იგავი?  
თუ შრომანია — პირმშვენიის ჩემი მოლისა  
ან ნუთიერი გაეღვება, როგორც ქაშნიკი მარადიულის.  
გუშინ არ იყო? — მწვანე ემოსათ ქედებს ზეცაში  
გაქცეულებს...  
საჩემო მინას მე ვეძახი საქართველოსა,  
რომ სხვისგან ასე განმასხვავო.  
ისე კი... სისხლი — აი, ფერადი,  
ხორცი — მთვარისგან მონაშუქი,  
ვიცი, დაგვეკარგავს ერთმანეთში,  
ანდა პირიქით: სუყველა ერთად წამოსული ერთი ბილიკით,  
უფრო ადვილად დავითვლებით...  
უთენაროა, გაუვალი, ტევრი, რომელშიც  
ჭემმარიტების მარცვალა ჩამოვარდნილი,  
და თუკი მართლა შეიძლებ და  
ხელისგულზე დაინთებ კოცონს —  
ნამიერი გაატანს მზერა.  
ო, ნამი იგი — კურცხალია,  
ჩამოღვარული დიოგენის ლამპარიდან  
ანდა რუსთველის ჩანგის სიმოდან  
ამოვარდნილი ერთი ბეგრაა.  
ასე: სხვადასხვა ჰარმონიას აგუბებს ენა  
და ჩვენ ვეძახით სულის საჭრეთელს;  
როცა მინაზე ვერ მოგნახეთ, მოგვინდა ფრენა...  
თუმცა, ათასი უპასუხო კითხვა  
გვაშორებს ახლაც შენამდე, —  
ჩვენ მაინც პირველს ვიმეორებთ:  
„საით გარდახდა იმ გორიდან თეთრი მხედარი?!“

**პირობითობის ანაქსაზი**

ნიავის შრიალს ახლავს მუსიკა —  
ბურუსი რამე მოცახცახე  
და იკითხება ფოთლების ჩქამში  
ულრანების გულისტივილი.

წინ ტრამალია, მღვრიე ორთქლი იწყებს ადგომას  
და ნაბიჯ-ნაბიჯ შილიფდება შემოგარენი:

აგერ ბილიკიც...  
მოლის ქარქაშით ამონვართული სატიეარი...

გინდა თუ არა — გაჩნდება ფიქრი:  
„ვინ გაკვალა, ან ვისი ნატვრა ამონყაროვდა  
ლორთქო ბალახის სურნელებად?“

ხანდახან სარკმელს გამოაღებ  
და სიბნელიდან სიბნელეში გამოიხედავ.

რას იცოხნება შავი ღამე? რა დაინახოს ძეხორციელმა  
ვარსკვლავების ჭუჭრუტანიდან?

ვიტყვი — გაკვალა გზა-სავალი, —  
ეს იმას ნიშნავს, რომ მავანმა  
მოკვდავთა შორის ერთი ადლით გაისახელა,

ა, თვალსერიც:

შუადლის ხვატში წყლის ზედაპირზე  
ერთი წამით მურნა ამოხტა.

როცა უკანვე ჩაბრუნებულს  
ლიფსიტების ჯგრო დაეხვევა  
და „ზედასკნელის“ ამბავს ჰკითხვენ, —  
რა უპასუხოს?!

ყაჭის უფერულ ძაფით ლამბავ  
სიცარიელეს ორ ამბავს შორის,  
ზიხარ მაშვრალი, თითზე დახვეულ ძაფის ბოლოს  
თანდათან არღვევ — სიგრძეს უმატებ:

მიაცოდვილებს ჭიანჭველა ხშიადის ნამცეცს,  
თავისი წონით მილიგრამებში ჩასატევარს,  
მაგრამ, როდესაც იქიდან აქეთ გამოვხედავთ —  
პურის ნამცეცი ვეებერთელა აისბერგია.

არა! — ვიდაცამ სივრცედ მონათლულ  
უზარმაზარ ოკეანეში  
ჩამოგვიკიდა პირობითობის ანკესები  
და ჩვენს ნაბიჯებს სეკუნდანტივით უდარაჯებს.

**ოდა დედამინას**

ცა-მყარი — სევდის დიდი გალია,  
მარადიული ერთგულების  
ღირსი ქალია.

ვაშა ამ ნუთებს! — ცნობადის ძაფი  
საცაა უკვე ღრიანკალს უწევს  
და შენ ხარ მაინც  
ჩვენეული სამყაროს ფუძე.

ოდეს მომთვარობს  
ხმელსა ზედა შუქი მომკრთალო, —  
მინიდან მიაქვს  
თეთრი ვარდების გვირგვინები  
პლანეტების გამტვერილ ჭრიალს.

**შეგონება**

ოდეს გაუფსკრულდა გზა-სავალი,  
შუქიც ჩაჰკრიფა შეღამებამ.

რა გატირილებს ცუდ-მაშვრალთ? —  
ააგე ციხე მიუვალი და სიმძიმელი იუარე...

მერე ხირიმიც ააძრაზე —  
გაჩნდება ალი ლულისპირზე  
და ნკვარამი გაიზზარება.

**თუ რამეს ვმეორი...**

ხვართქლა შემოვამორე ვენახს,  
გრამაფონისყვავილება და ისეთი ლილაფერი —  
თეთრეული გაივლება.  
ვენახიდან რომ ღვინო დაყენდება და დაილევა,  
მაშინ მაინც ვიმღერებ:

„ყვავილების ქვეყანა,  
ჩოქვით შემოვიარე,  
რო შემპირდი მოვალე!..“

მოსვლას არ შემპირებიახარ,  
მე თავად დავიწმუნე თავი და გელოდი;  
რო უნდა მეტირა, — ვმღეროდი და  
უდარდელი ვეგონე ხალხს.

დარდი ისეთი რამეა, —  
სულ უკითხავად ფრთას შლის,  
შუადღე შუადამეა  
დარდის კაცების თვალში.

თვალი? — გიჟის და ბრძენის,  
მზერა? — გიჟის და ბრძენის,  
შვენის და ამდიდრებს სამყაროს...  
და მაინც — გვეკრძალება შენი!  
და მაინც — გვემინია შენი!  
და მაინც — მონები ვართ შენი,  
მდორე და მასიურო ყაყანო!

ყაყანით დალილს ჩამეძინა,  
იმ დღეს, რაც მეწყინა და ვერავის გაგრძნობინეთ,  
სიზმარში იჩინა თავი —  
იმდენი ვიტირე და ვიმღერე,  
თქვენამდეც მოაღწევდა ხმა.  
გამთენიისას, შეშლიფებული ტან-ტომავით რომ  
კარში გამომავდო და გამლიგვა  
მსოფლიო ორკესტრების შურმა და გულისხეთქვამ —  
ჩიტების გალობა-ჟრიამულმა  
ერთი კაცი გამახსენდა:

„ტყის ფრინველების ვალი მანვალესო,  
თუ რამეს ვმღერი, სულ იმათ მასწავლესო“ —

ჰანგების მეფე და ჰანგების მონა შვილი  
ჰამლეტი გამომიტიყდა, ერთხელ გონაშვილი:

— ნიავს ჩამოტყდება და მჩატე აქცენტით,  
ჩირგვიდან გამოდგება ჭინჭრაქა — ფალცეტი.

შაშვი — ბარიტონი, ტენორი — ბულბული,  
რეჩიტატივი სკვინჩასი;  
აქა-იქ მესკიის მინორით ჟღერტული,  
ქორო ბელურათა — ანსამბლი ძვირფასი, —

დანართი:  
— როცა გონაშვილი მღერის,  
ჩემი სევდიანი ცა მწყალობს.  
ამოჩუხჩუხდება ყელით ჰანგი  
ცხრა მუხის და ცხრა წყაროს.  
ქალი გამოდგება ბანზე (რალა სათქმელია, ველავდე)  
და მეც მორჩილ სალამს ვაძლევე,  
ვალში ჩავარდნილი ყელამდე.

როცა სალამური კენესის —  
თვალი კელაპტრიშვილს-უმზერს,  
თქორად გადაიარს ლექსი  
ხვატით გამოგვალულ გულზე.  
მერე მეც მივდენი ფარას,  
ვებრძვი ღამეებს და მონყენას,  
მუხლში მემატება ძალა,  
ლერწმის წკრიალი რომ მომწვდება.  
ოცნებით შეუყვებები ალაზანს, —  
მერცხალი მეშველება ფრთებით;  
ან ვდგავარ მოსამკელ ყანასთან  
და ტანში ვიმტვრევი და ვთბები.  
„გლესავო!“ — მომესმება ამ დროს  
და სისხლს ამიჩქროლებს ონავარს;  
ვისაც თქვენ უმღერით და დარდობთ,  
მეც იმის ერთგული და მონა ვარ.

**შაქითხვათა შესაკრავალი**

საითაც უნდა გაიხედო, სივრცეა მხოლოდ —  
შემოსაზღვრული გამჭირვალე და მჩატე კედლით.

„იმ კედლის იქით?“ — არ ისვენებს  
ფიქრის ფრინველი, —  
მზეგადასულთა სანახები  
თუ შეტბორილი სიბნელის ხახა?!“  
ეს არის ახლა შეკითხვათა შესაკრაველი  
და ნალვერდალი ხელისგულზე დანთებულ ცეცხლის.

ქერცილი, ქერეჭი, ქერეჭი, ქერცილი,  
მთები, გორები, უფსკრულები მინის სხეულზე,  
იფიქრებ ზოგჯერ „ეს-ეს არის ვარსკვლავებს შევწვდი“,  
მაგრამ სიხარულს, სინანული ვერმიღწეულზე  
ნაეფარება მინიერ მტვერად  
და ტანჯვით უნდა შეურიგდე შენს ბედისწერას.

ტანჯვიდან მოდის ეს გზა-ბილიკიც  
და ნატიფი არქიტექტურა —  
სისხლით და ხორციით ალამბული შენი სხეული.

სწორედ ამიტომ გვერდს ვერ შეუვლი  
ყოველდღიური წერილმანებით დატირთულ ქაოსს,  
მინაა, ნუთუ, ერთადერთი ლურჯი რვეული,  
დამტევი ჩვენი საიქიოს და სააქაოს.

**შეგონების ადამიანური უფლება**

გვიანი შემოდგომა  
ფერმკრთალი თითებით აკაკუნებს სარკმლის მინებზე  
და შინ შემოშვების ადამიანურ უფლებას მოითხოვს:

— შემობრალეთ! — ხომ ჩამოვარიგე  
ფერიდან ფერში გადასული ზღვა-ხილი...  
ეს მე ვარ, ახლა კარებთან,  
ვის ესმის ჩემი ნერვიული ძახილი?!

სინყნარე, — ხმა არსაიდან, გალურსულია მინდორი,  
სოფლის თავანზე ჰკიდია ფიქრის ტანმძიმე ღრუბელი...  
გამიშვლებული იფენი ყვინთავენ გზების გარშემო  
და შეცვივებულ ქათმების ფიტულებს ჰგვანან სახლები...

აი, სურათი, როცა შემოდგომა  
ფერმკრთალი თითებით აკაკუნებს სარკმლის მინებზე  
და შინ შემოშვების ადამიანურ უფლებას მოითხოვს.

**აზამხედველა**

ამამხედველა გარდასულის მოსახილველად, —  
ისე საამოდ გიგალობდა ჩიტი ნინველა.

და მე, ჩურჩულით გასამხელი საკუთარ თავთან,  
მინდა ყოველთა გასაგონად ხმამაღლა გავთქვა:

პირ-ბამბა ნისლით შებურვილი, სუფევა შენი,  
რამეთუ კვალად მაშუქარობს, პირჯვარს ვისახავ  
და საზღაურთა მისაგებად სიხარულით გესაკმეველები.

\*\*\*  
...აჩალული ქარები რო ავზვინე,  
ზამთრის მოლოდინმაც გამიმართლა,  
ზედ კართან აღიმართა და  
სახლში შემოშვების ადამიანური უფლება ითხოვა...

ვზივართ ახლა ტაბლასთან და  
ერთმანეთს მასლაათით ვიყოლიებთ.  
ხანდახან ხელს მხარზეც გადავხვევ და ვმღერვიარ:

„თეთრი არაყით დამთვრალო,  
ძმადშეფიცული ზამთარო,  
რო წახვალ, გული დამწყდება,  
ცრემლის საღვრელად მზად ვარო...“







ბალათერ არაბული

ციკლიდან: „ხევისსურათის ამგვარ ნათქვამი“

მოხუცი ხევისსური და ქისტაჰის დაღვრილი სისხლი...

მეკა ხანგოშვილი

...თავის კუთვნილი სახლებიდან და მამ-პაპათა მიწებიდან იძულებით განდევნილ და გასახლებულ ღიღღველთ სოფელში არხოტივებ ჩასახლებულან და, დროებით, ეგენ ყოფილან იმათ სოფლის ბატონ-პატრონი, იმათ სახლ-კარის, იმათ საფლავთა და სალოცავთა შემნახველნიც, მადიდებელნიც... ერთხელაც, როცა იქ საცხოვრებლად ჩასახლებულ მოხუც ხეთისო, სოფელ ხამხის გაშლილ მინდორს ქვა-ლორლით ღობევდ, მის გამაგრება-შემორაგვას გულდაგულ ცდილობდ, მეზობელ ხევსურ დასდგომივ თავზე: — რას სჩადივ მანდავ? რად ღობეავ მაგ მინდორსავ? ან შალოვით რა განიზრახევ? — დაეჭვებით უკითხავ იმას...

— ამ ადგილას, როგორც ამბობენ, წლების წინათ ცუდ ამბავ მამხდარ, — მომხდურ რუსებს ღიღღოს მცხოვრებნი სახლებიდან ძალით გაუყრავ, — არვინ დაუნდევ, — ბაღ-ბუღლებიც და ქაღდედროვანიც დაუნანებლად ჩაუცხრილავ, ცეცხლში ჩაუნვავ...

თუმცა მზემ სისხლი გამოაშრო და ქარმაც მტვერით გადაფარა ფერფლად ქცეული მათი სისხლის და ცრემლების ნანვეთურები, მე კარგად ვიცი, ადრე თუ გვიან, ქისტებ სახლში დაბრუნდებიან და არ მინდა ხევსურებს რო გვისაყვედურან, ფეხის დადგმით რო ვთელავდით მათ დაღვრილ სისხლს და დაღვრილ ცრემლებს, — უთქვამ ხეთისოს ცნობისმოყვარე მეზობლისად და თავის საქმე გაუგრძელებავ...

თამარული

...კიკოზაურნი გულდიდობით აღზევებულან და სალოცავთა სამუქაროდ სანეს ციხე-კოშკ აუშენებავ... თავსგასულ გვარ-ჯიში გუდანის ჯვარს გაუთავებავ და იმათ ნადგომ ადგილ-მამულნი სათავისოდ დაუჭერავის...

თამარულიც კიკოზაურთ გვარისა ყოფილ... იმის თმათ მნახველნი მზის სხივს მთაზე საყურებლად დგებოდიანავ, იმის თვალთ მნახველნი ღამენ კრძალვით კრთებოდიანავ...

ერთხელაც სოფელს ლეკებ დასხმიან, დიდ-პატარა ტყეში გახიზნულ, მარტო თამარულ დარჩენილ სახლში და კართ უკენით დამალულ შუბით... რამდენიც სახლში შამასულას, ყველა მაუკლავ და სიბნელეში გადაუთრევევ...

როცა ლეკის ჯარი წასულ ნაძარცვით, მობრუნვილ სოფელნი თამარულის ნაომართ გაკვირვებულან;

— შენ რო კაც იყავ, ჯვარში საკარგემოს დაგიდგამდითავ, ახლა რა გინდავ, ან ანდრეზად რას გვიბარებავ? — უკითხავ სოფელთ... — ძმა-ბიძაშვილებს მარტო ერთს გთხოვთავ, ჯვარ-ხატში როცა ლუდს ადუღებთავ, მოსახსენებლად ტკბილიან კასრ დამიდგითავ, მე ის მამწონსავ,



სხვა არა მინდავ, — უთქვამ ხუმრობით მაშინ თამარულს...

მას შემდეგ გუდან, დღეობის დროს, ტკბილიან კოდს დალოცავდნენ თამარულისად და დიაც-ყმანვილს გაუტანდნენ მოსახსენებლად, ხოლო ბაღლები მხიარულად დაიძახებდნენ:

„შაუნდნასავ თამარულსავ, კართუკენით დამალულსავ, თერთმეტის ლეკის მამკლავსავ, თავის მინა-წყლის დამცავსავ...“

პატალთქვიზიანი მთა და შატილელის სარკლო

...შატილიენებს სარძლოების გამოსაცდელად თავის წეს ჰქონივ... იმ წეს-კანონის შაუსრულებლად შატილში სხვა ქალს არ მიიღებდეს... სოფლის უფროსები და ხევისბერი არც სასიძოს და არც მის ოჯახს ეგეთ რძალს არვინ მათყვანებდ...

ლეღამაც იცოდ, რომ შატილში, იმ გამოცდის ჩაუბარებლად, არ შაუშვებდეს, ვერც ნანდაურის ნამდვილ სიყვარულს დაიმსახურებდ და ვერც მის მკერდზე იყვავილებდ ნანდავებგაშლილი...

... ღამით, სიზმარშიც, სულ იმ მთას ხედავდ, სადაც წინასწარ, გამოსაცდელად სოფლის სარძლოებს იბარებდეს სოფლის კაცები... ხან ხედავდ, ვითომ, მთის ფერდობზე ლალად ადიოდ და მწვერვალზე შეყვარებულს ეხვეოდ ყელზე, ხან კი... იმ მთიდან ვარდებოდ ხრამში და გულგახეთქილს თავის კივილ ალვიძებდ ხშირად...

... სოფლიდან ცოტა მოშორებით ეგეთ მთა ყოფილ, — პეტელთქვიზიანი მთას ეძახან შატილიენები, რომლის ერთ მხარეს, მის წვერამდე, ქვიშის ზოლ გასდევს და მალა ასვლა მოხერხებას და გამძლეობას ითხოვს მგზავრისგან, — სიარულისას ქვიშა ცურდების და ამსვლელსაც მთელ ძალ-ღონე ეხარჯების მის დალაშქვრისას...

აი, მაგნიარ მთა შაურჩევავ შატილიენებს იმ ქალების გამოსაცდელად, — ზურგზე მძიმეტივროთაკიდებულს ის მთა უნდა დაეძლივ სარძლოს...

და ლეღაც, ქვიშის ტომარაკიდებული, ვიღაც მუხლმაგარ შემწონებელ გამყოლთან ერთად, მასდგომივ აღმართს; გაჭირვებით უვლავ ქვიშაზე, ის გამყოლიც გულქვა ყოფილას, შებრალებივ არა სცოდნივ, ვერც სიყვარულის მომლოდინე ქალის ნაფიქრალ გაუგავის: — ვაი, თუ მწვერვალ ვერ დავძლივავ და ტვირთ ბოლომდე ვერ ავიტანავ, ვერ გავამართლავ ნანდაურის გულის ნატვრავივ და ვერ გავზდავ შატილელების რჩეულ რძალივ! — უზბნავ ლელას თავისად, ჩუმად და აღმართზე ბორძიკით უვლავ...

მთის შუამდე წვალვით მისულს ქვიშაში ყვავილ შაუნიშნავ, — ცის თვალვით ღამაზ ყოფილას, თითქოს ლელას სანახავად ამოსულიყვ იმ ქვა-ლორღში, და ლეღაც, იმის შიშით, სიღამაზეს ფეხ არ დავადგავ, ყვავილ არა დავაზიანავ, გვერდზე გადასულ ერთ ნაბიჯით და იმ დროს... ქვიშაც დაცურებულას და ბეჩავ ქალა, ტომრიანად, ჩაღმისაკე ჩაუყოლებავ...

მთის ძირში ჩამჯდარს თავის ბედზე და გაცრუებულ სიყვარულზე უცრემლავ ჩუმად, ვერშესრულებულ ოცნებაზე უტირილებავ...

... რავი, ამნაირ უცნაურ წეს ჰქონიათ შატილ, ალბათ, იმად, რომ მტერმრავალ და ხშირ ომებით შემცირებულ სოფლის დამცველებს გვერდზე ჰყვანიყვ მუხლმაგარ და მკლავმაგარ ქალები...

... გამომხდარ ხანი, როგორც ამბობენ, იმ მარცხისგან გულმოსულ ლელას ის მთა მაინც დაულაშქრავის და შატილში განთქმულ რძალ გამხდარ: შატილელთ გვარ-ჯიშ გაუმრავლებავ, მტერ-მოყვრობით და თოფის სროლით კი ბევრ ვაჟკაცს ჯობნილ და შამილის განთქმულ ნაიბის შემოსევის დროს, შვიდ კაც მაუკლავ მომხდურისად თავის ხირიმით...

ფრთამოტახილი გარტყი და დედა მარცხალი...

...იმ ზამთარს შატილ დარჩენილას დედა მერცხალი, — ფრთამოტახილ შვილ მთაში მარტო ვერ გაუნირავ... მამა მერცხალ კი თბილ ქვეყნებისკე სხვა შვილებთან ერთად გაფრენილ...



რავი, რაისგან  
მერცხლის ბარტყას ფრთა მასტეხივას  
და მთელ ზაფხულ ვერ უფრენავ, —  
კოშკის ძირში, შემადლებულზე, მარტუა მჯდარას,  
თავის დედ-მამას  
და სოფლის ბაღლებს  
ჭია-ღუა უზიდავის გამოსაკვებად...

ასე დამდგარას თბილ ქვეყნებში გამგზავრების ჟამი...  
მერცხლებს წასვლის წინ უწიოკებავ, —  
იმ ფრთამატეხილ ბარტყის ირგვლივ უფრენავ დიდხანს  
და გულამოსკვნით სევდიანად უჭიკჭიკებავ,  
ალბათ, ამით დამშვიდობებას გამახატავდეს...

მერე კი მალლა აფრენილან  
და სოფლის თავზე  
ორ-სამ წრე ეგრე შამაუფლავ, ჭიკჭიკ-გნისით  
და დასავლისკენ გაფრენილან გუნდად შაკრულეები;

გზიდან, იმათ, დედა მერცხალ გამოჰყოფივ  
და ფრთამატეხილ თავის შვილთან დაბრუნებულას...

მთელ ის გრძელ ზამთარი  
დედა-შვილ მერცხალს სოფლის კოშკში გაუტარებავ...

**ციკლიდან: „სხვადასხვა“**

**თალას ციხე**

კვლავ ხავსისფერი ედო ხახაბოს,  
სოფლის ნაგზაურს, ჭალას, იფნის ტყეს,  
სად ხეობიდან, როგორც ხობხები,  
ციხე-კოშკები ამოგვიფრინდნენ...

არც მეციხოვნე,  
ალარც ამგები,  
მხოლოდღა ქარის მოთქმა ისმოდა  
და კლდეზე თალას ციხის ნანგრევი  
მოჩანდა, როგორც მარადისობა...

**ატიული 1**

ჩამოიშალა ბინდის ბულული,  
ჩამოეფინა მხრებზე უღრანებს  
და უღრანები ჩამობურული  
მგლების ყმუილით ღამეს უღრენენ...

მივდივართ,  
შორით ღელვაავსილი  
მღვრიე არავგი გვიხმობს ღულის ძირს,  
ბნელში სანთლებად ელავს ასკილი  
გზად გამოსული ჩვენი გულისთვის...

\*\*\*  
მე მოვდივარ დიდი ზამთრიდან,  
ზამთარია ჩემი სამშობლო!..

გადმოვლახე ქარიშხლების  
და ზვავების თეთრი საზღვარი,  
გადმოვიარე თოვლის უდაბნო  
და უღრანების მდუმარება  
ჩამოქცეული მგლების ყმუილით,  
სად მთებს,  
ვით ციდან  
ჩამოყრილ ზარებს,  
ყრუდ ეკიდა დაშრეტილი მდინარეები...

...  
მე მოვდივარ დიდი ზამთრიდან,  
ზამთარია ჩემი სამშობლო!..

იქ დამრჩა ქარით და ყინვებით დასახლებული  
ველ-მინდვრები,  
ვრცელი ტყეების დარბაზები  
მოხატული ყინვების ფუნჯით,  
იქ დამრჩნენ: თოვლის ყვავილები,  
ბურუსოვანი სივრცეები, —  
დაკანრული ყვავების ფრთებით  
და სიყვარულიც — იმ თოვლივით ხელშეუხები...

მე მოვდივარ დიდი ზამთრიდან,  
ზამთარია ჩემი სამშობლო!..

**ცხოვრება**

არეულია ნათელში ბინდი,  
ალერსში — შხამი, შხამში — ცდუნება,  
დრო კი თავის გზით მიდის და მიდის  
საკუთარ თავში დასაბრუნებლად...

და სიყვარული რომ გვწამდა გუშინ,  
ჩვენგანვე მოკვდა და გაიფადა,  
შემოგვპარვია მალულად სულში  
თვითონ იუდა და კაიაფა...

ლამის მოყვარე გავაკრათ ჯვარზე  
ჩვენი შურის და გესლის ლურსმნებით,  
დაუსრულებლად გრძელდება ასე,  
ბრუნავს და ბრუნავს კვლავ კარუსელი...

**ატიული 2**

მილეული მზე ბრწყინავს ცის თაღზე,  
სივრცეს აცვია ნისლის არილი  
და შემოდგომის დაცლილი ბალი  
დგას გაძარცული დედოფალივით...

ჰგვანან ხეები ხელემაშვერილ  
მლოცველებს, ქცეულთ უცხო დარდებად  
და მოსდებიან ჭალებს შაშვები  
სალამოს ბინდის შესამატებლად...

და სდუმს მინდორი, სად მოსისინე  
ქარი ბინადრობს ახლა მარტოდენ  
და სადაც მხოლოდ თივის ზვინები  
უკვე შეცივებულ მიწას ათბობენ...

...  
მილეული მზე ბრწყინავს ცის თაღზე,  
სივრცეს აცვია ნისლის არილი  
და შემოდგომის დაცლილი ბალი  
დგას გაძარცული დედოფალივით...

**ნარნარა ნინამურის ოპალისკა**

გზა-გზა ფარავენ მწარე შეცდომებს  
და დღეებს ჩავლილ ცრემლებით სასესეს  
და ივინებენ თუ რამ შესცოდეს,  
თუ რამ სირცხვილი გადახდათ თავზე...  
გზა-გზა წამლობენ სულის ჭრილობებს  
და არ უმხელენ ქვეყნად არავის,  
ანდა დამალვას მაინც ცდილობენ,  
რაც აქვთ ყველასთვის დასამალავი...  
...შენ კი... აქედან, როგორც კვილი,  
აკრთობ სივრცეებს და მთებს გასცქერი;  
მეტი ხარ ჩვენითვის, ვიდრე ტკივილი,  
ნიშანსვეტი ხარ ერის დაცემის!

\*\*\*  
გმადლობ, ნუხილო, ამ ყოველდღიურ  
ეკალნარევი წყალობისათვის,  
რადგან ვიხილე შუქი ციური,  
შენ რომ გამკობდა, სწორედ ისეთი...  
რადგან მრავალთა მაცდური ნიღბის,  
ცრუ ერთგულების თუ სიძლიერის  
და თვალისმომჭრელ ბრჭყვიალის მიღმა  
აღმოვაჩინე სიკარიელე...  
გამოგონილის (დღემდე რაც იყო!)  
ბედნიერების ანუ ფაცურის  
შიგნით ვიხილე ჩემი ტაძარი  
ჩამონგრეული და გაძარცული...

\*\*\*  
ამ სიბნელეში  
რისთვის ჰქოთქოთობ?  
ვის ელოდები? ანდა ვის ეძებ?  
რისთვის მომიხმობ, ბებერო ჭოტო,  
ბინდის ბურუსით  
დაფარულ ველზე?!

გარემოს მწარე მოთქმით აღვიძებ,  
სევდით ივსება  
მინდორიც, ბორცვიც,  
შორს ისარივით მოჩანს ალვის ხე  
ციდან ღმერთების გადმონატყორცნი...

**ავიჯიბა**

ბებერ ეგვიპტეს ადევს მგლისფერი,  
ზეცა იმღვრევა და იქუფრება  
და ფარაონთა ეტლების მტვერი  
გაქვავებულა ცაში ღრუბლებად...

...ფლოქებქვეშ ქვიშას გააქვს წკარუნი  
და მიჰკაფავენ მტრის ჯარს უკლებლივ,  
სხვის კარს იცავენ უსახლკარონი  
და უმამულო მამელუქები...

წინ კი... ათასი შუქი ინთება,  
თითქოს სამყარო მოჩანს აქედან  
და ჩვენ ავდივართ პირამიდებზე  
იმ გარდასულში გადასახედად...

**ქალღი**

გადაიხაფრნენ სადღაც ყველანი,  
დაკეტეს ეზო, დაცალეს სახლი,

თან გაიყოლეს ყველა ძველმანი  
და დაავინყდათ ბებერი ძაღლი...

დიდხანს ისმოდა წკავნკავით მოთქმა  
(მოჩანდა მთვარე, ვით სპილოს ეშვი),  
მერე დასწყევლა ადამის მოდგმა  
და მგლებსაკენ გასწია ტყეში...

\*\*\*  
ექაი, შენი ღმირით ავსილს  
ამ შემოდგომის ღამეებს ვითვლი  
და მთვარე — ოქროს ღამაზე თასი —  
მე მომაქვს შენთვის და ხელზე მითრთის...

მე მომაქვს შენთვის ვარსკვლავთა მძივი,  
ღამეული ცის ციაგით სავსე,  
მთვარე კი, შენი გულივით ცივი,  
იდუმალეებით დაგვნათის თავზე...

\*\*\*  
*ე. ქ.-ს ლექსის მიბადვით...*

„თქვენთვის არ უთქვამთ, ქალბატონო,  
რომ ჰგავხართ აპრილს“  
და მზის სხივები  
დალალებად მხრებზე გაყრიათ,  
„კარგა ხანია, მყვირალობა  
დაიწყო მთაში“,  
მთიდან მოსული სიყვარული,  
ვიცი, გაკლიათ!...

„არც ის არ უთქვამთ,  
რომ თქვენა ხართ აპრილის ქარი“,  
რომ შუქი გშვენით  
მშვენიერი ედელვაისის  
და გევედრებით  
თქვენს კარებთან მორჩილად მდგარი,  
„თუ ნებას დამრთავთ“,  
მე ვიქნები თქვენი მათის!...

**პალერმოში**

**ეტიული**

დილის მზე ჩუმად მოიპარება,  
მთებს ეფინება სხივთა ვუალი  
და ზღვის ნაპირზე მოჩანს პალერმო  
პალმების ჩრდილის მკრთალ პენუარით...

**ბასსენება**

*დავით თედორაძეს  
ალეკო ჯიბლაძეს*

ამოდოდა ჭოროხზე მთვარე  
და იდუმალი შუქით ელავდა,  
სიყვარულით და ღვინით მთვრალეები  
ჩვენ ვბრუნდებოდით მაჭახელადან...

ღელავდა ზღვა და საფენებს ქაფის  
ტანზე ახვევდა ნაპირებს ქვიანს,  
ღამეულ ბინდში მოჩანდა — სარფი,  
როგორც ტკივილი და რელიქვია...

ქშუოდა ქარიც და სევდა ქართა  
ეფინებოდა კიდიდან კიდეს  
და ჩვენ ამ ღამაზე სამშობლოს გარდა  
სხვა არაფერი გვქონდა სიმდიდრე...

**ღამე სარფში**

...მე უშენობას უკვე ვერევი  
(თუმცა ძალიან მიჭირს შეჩვევა)  
და მომაქვს შენთვის ზღვიდან კენჭები,  
რომ ზღვის სათქმელი გითხრან კენჭებმა...

ანეული აქვს ცას მთვარის წარბი  
და ბნელ ცისქვეშეთს ნუხილით უმზერს  
და სევდა ორად გაყოფილ სარფის  
ჭრილობასავით ატყვია გულზე...

\*\*\*  
...უკვე გახუნდა მინდვრების ნოხი  
და მოაქვთ სევდა ქარებს არეთა;  
მე ამ მიწაზე შემთხვევით მოვხვდი,  
მე დავეძებდი სულ სხვა პლანეტას...

ერთად მოდიან პავლე და... სავლე  
და უღიმინა გზაზე შემხვედრებს;  
მე შემეშალა გზები სავალი  
და აქ დროებით შემოვხვებტე...



ზაზა ბიბილაშვილი

პოეზია, დანარჩენი ლიტერატურა, და დანარჩენი 2018



\* რალაც ასაკში ნუ წყვეტთ სწავლას და მიღებას, ნუ.

შეიძლება სწორედ ამ ასაკს დაემთხვეს იმის აღმოჩენა, რომ დედამინა გიგანტურ კუზე კი არა სამ სპილოზეც არ ძვეს.

\* მარხუანას მოყვანა, მარხუანას მოხმარება, მარხუანას ექსპორტი კი არა — მარხუანის მოყვანა, მარხუანის მოხმარება, მარხუანის ექსპორტი.

ხომ უნდა ვიცოდეთ, რას ვაკეთებთ?!

\* ერი, რომლის მთავარი კითხვაა — ღვინით დათრობა ჯობია თუ მარხუანით დაბოლება, ან ძალიან ბედნიერია, ან მაგრად აქვს დარხეული.

იმედია, ბედნიერები ვართ.

\* თეორიულად ვიცი, პრაქტიკულად როგორც უნდა მოიქცეო: რალაც არაორდინარული უნდა ჩაიღინო — იყვირო, მაგიდას მუშტი ურტყა, რამე გატეხო, იხტუნაო, წარუდგე დიდ მწერლად, ცნობილ მარკუზიდერად...

ვგულისხმობ — კლინიკაში, ექიმთან მიღებაზე.

რისთვის? იმისთვის, რომ თავი და, ვინ იცის, შენი სამედიცინო ჩივილებიც კი დაამახსოვრო, იმ მომენტში მაინც აცნობი-ნო ყურადღების ღირსად ან ერთი, ან დანარჩენი.

ზრდილობა-მოკრძალებებით არაფერი გამოდის — მიუხედავად იმისა, რომ ეჭვი მაქვს, კრძალვა-ზრდილობიანი წარდგომა არ უნდა იყოს მაინცდამაინც გავრცელებული პრევენტივით საკუთარი თავისა.

\* ექიმო, მიშველე! მეჩვენება, რომ ვარსებობ!

\* მგონი, თავმდაბლობა გატყუებთ. თქვენსას არ ვგულისხმობ.

\* ყველა ქართველი თვითნაბადი ნაფიცი მსაჯულია.

პოეტი არა, ისა.

\* ნეტავ, კონკრეტულად ვის ვსაყვედურობთ, მარსზე სხვა რომ მიფრინავს და ჩვენ ვერა? და რას ვაკეთებთ იმისთვის, რომ ხვალ იუპიტერზე ჩვენ გავფრინდეთ?

\* ვილაცხები როგორ არ გვყოლია, ამა თუ იმ სფეროში — საშუალოები, დიდები, ძალიან დიდებიც კი. მაგრამ აი, ამ წამს მკაფიოდ დავინახე იმის შესაძლებლობა, და თითქმის უეჭველობაც, რომ ყველაზე, სულ ყველაზე დიდები თავიანთ საქმეებში, თავიანთ ადგილებზე არასოდეს ხვდებოდნენ. იმიტომ, რომ მათ ამ ადგილებზე მოსასვლელად რალაც უშლიდათ ხელს; მაგალითად, ის, რომ სხვებს ხელს რალაც უწყობდათ, ეს ადგილები დაეკავებინათ.

ადრე ვწერდი, ვინ იცის, გალაკტიონს რა მაგრად გაუმართლა, რომ მხოლოდ შუახნის ასაკში მოიკლა თავი, და ვინ იცის, რამდენიმე გალაკტიონი ჯერ კიდევ ჩვილობაში მოკვდა შიმშილით, სიცივიტით, ცუდი ფაფით-მეთქი.

ახლა სხვა რამეს ვამბობ: დღეს სადაც გინდა შეიხედო, მოგეჩვენება, რომ იქაურობა არაპროფესიონალებით კი არა, ლენჩებით გამოტენილა. და სავარაუდოდ, სულ სხვაგან, იქნებ ულუკმაპუროდაც არის ხალხი, ვინც ეს საქმე გაცილებით კარგად იცის, ან გაცილებით მეტი მონაცემი ჰქონდა, ეს საქმე ესწავლა, მაგრამ ამის შანსიც არ მისცემია.

\* როცა უსამართლობა ხდება და ვამბობ, რომ უსამართლობა ხდება, ისინი, ვინც ამ უსამართლობით სარგებლობენ, და საერთოდ, ვისი მდგომარეობაც ამ უსამართლობის ერთ-ერთი მთავარი გამომხატულებაა, რატომღაც, არასოდეს მეთანხმებიან.

\* უფლებების დაცვა, ზოგადად, კარგი რამაა. მაგრამ რატომღაც მაინც ის უფლებადამცველი უფრო მესიმაპაითურება, უფლებებისთვის ბრძოლის გამო რომ იდევნება და ისჯება, ვიდრე ის, ვინც ამ ბრძოლით პირად კეთილდღეობას იქმნის.

\* დიდსულოვან ადამიანებს დიდსულოვნებას არა თუ არ უფასებენ, არამედ ხშირად ვერც კი ამჩნევენ, რომ ისინი დიდსულოვანნი არიან.

და მათ დიდსულოვნება ჩამოერთმევთ, როგორც სისუსტე, სიბრყვე ან სულაც არაფერი. (ამათი დიდსულოვნება რომ იმათი სულმოკლეობის საზრდოა — ეგ სხვა).

\* როგორც იტყვიან — ბოდიში მომითხოვია და, უკანალს რამდენი შანსიც გინდა მიეცი, მისგან იმაზე უკეთესი მაინც არაფერი გამოვა, რაც მანამდე გამოსულა.

\* ისიც ბედნიერება ყოფილა, აშვებული დასაბმელი გიჟი რომ გადაგყვრება, ერთ საათს, ერთი დღეს, ერთ წელიწადს გიბურღავს ტვინს და ბოლოს მაინც წავა.

\* მეც თქვენსავით გულთან ასე ახლოს რომ მიმქონდეს ყველაფერი, ხსენებული გული ორ დღეში გამისკდებოდა. გაძლება მოგცეთ.

\* თვალთმაქცობაზე ამაზრზენი ადამიანს ცოტა რამ სჩვევია და ვერ გავიგე, ყველაზე მეტად მართლა ეგ მოსწონს? თუ თვალთმაქცობს?

\* ასე ვინლა დაგწყველათ — გძულდეთ ყოველი და აჩვენებდეთ — ყოველი გიყვართ?

\* ძალიან ძნელია ადამიანობა. ამდენი უნამუსობის ჩადენა არ გინდა?!

\* მე დავილაღე თქვენი უნამუსობებით და თქვენ რა დაგემართებოდათ. საწყლებო თქვენ.

\* კიდევ კარგი, ნამუსი არა აქვთ, თორემ ისეთ უნამუსობებს სჩადიან, ნამუსი რომ ჰქონდეთ, ორ დღეში დაუსკდებოდათ გულები.

\* ადრე რას ვიფიქრებდი, ახლა ამის თქმა თუ მომიწევდა: სინდისი ადრე უფრო მეტი იყო, ხშირი.

\* ზემოდან ნუ გვიყურებთ — სახიფათოა — თავბრუ დაგეხვევათ და ჩამოცვივდებით.

\* იცით თუ არა, რომ ლეპტოპში ყურება ცხვირის მალა აწვევს ხელს არ უშლის?

\* მესიჯის გაგზავნა მინდოდა. ახლოს არც ლეპტოპი მქონდა, არც ტელეფონი. პასტა-ფურცელს წაგვნი...  
 \* შეურიგდები ადამიანებს, შეუნდობ პერიოდულ თუ ქრონიკულ შეცოდებებს, დაურქმევ რა ადამიანურ სისუსტეებს, ზოგ მათგანს შეიყვარებ კიდევ... გამოიშლებიან ფეისბუქზე ანგელოზური პოსტების ფართხნით, ასწვენ და ასწვენ ადამიანის შეფასების თამასას, გადახედვ შენც ამ თამასიდან... და ყველაფერი თავიდან დასაწყები გაგხდება — გაგხდება თავიდან შესარიგებლები, შესაწყნარებლები და ასე შემდეგ.

\* სოციალურ ქსელებში კიდევ უფრო ხშირად დანერეთ ხოლმე, როგორი სათნოები და საყვარლები ხართ, თორემ ხომ შეიძლება კაცს მართლა ისეთები ეგონოთ, როგორ შთაბეჭდილებასაც პირადი შეხვედრებისას ტოვებთ?

\* საქართველოში კლასიკურმა მედიამ უკვე მოინლა თავისუფლების ზღაპარი და ახლა თავიდან არკვევს, „თავისუფალი მედია“ რეალობაში ობიექტური თავისუფლების ნასახსაც გულისხმობს, თუ — მხოლოდ იმ სუბიექტის თავისუფლებას, რომელიც თავის შეხედულებებსა და სურვილებზე დამოკიდებულ მედიას ფლობს.

აი, სოციალურმა მედიამ კი ყველაფერი მალევე გაარკვია. ერთადერთი გაურკვეველი ის დარჩა, თუ როგორ ცხოვრობდა ეს ქვეყანა უმისოდ. რა, კიდევ საეჭვოა, რომ ფეისბუქი სწორედ საქართველოსთვის შეიქმნა?

თვალსაჩინოებისთვის: ჩემი ფეისბუქმეგობარი ლიეტუველები „ფრენდლისტებში“ 400-დან 800-მდე ადამიანია. შევდ პოეტსა და ორენოვან გამომცემელს, რომელსაც მხოლოდ საკუთარი 20-ზე მეტი ნიგნი გამოუცია, ფეისბუქზე 660 მეგობარი ჰყავს, და აქედან 50 — ქართველია...

აი, ჩვენებური თავმოყვარე ფეისბუქი-უზერისთვის კი 2000-ზე ნაკლები ფრენდი, უბრალოდ, სირცხვილია. ისეთებიც ვიცით, 5000-იანი ლიმიტი რომ ამოუწურავთ და მეორე პროფილი გაუხსნიან...

ფეისბუქს იყენებენ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური წრეები, შესაბამისი ჯგუფები, იუზერები და ტროლები — თავიანთი კონკრეტული მიზნებისთვის... მაგრამ ამაზე ყურადღების შეჩერება არ ღირს — იმ ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის დიდი ნაწილი ფეისბუქით იღვიძებს და იძინებს, ფეისბუქით საუზმობს და სადილობს, ფეისბუქით იხდის დაბადების დღეს, ქორწილს, პანაშვილს, დაკრძალვას...

\* ჰო, ალბათ ფეისბუქიც მედიაა — ძალიან ყვითელი მედია, რომლის რესპონდენტად თუ პერსონაჟად მისი თითოეული მომხმარებელი წარმოგვიდგება. აქ ყველა ფეისია, ყველა სელფბრითია. ყოველი იუზერის ყოველი ნაბიჯი საჯაროა და — ამ იუზერის აზრით — საინტერესოც.

\* ფეისბუქი ლათინოამერიკულ/თურქულ საშუალო დონის რომანს ან თუნდაც სერიალს წააგავს — უთვალავი პერ-

სონაჟითა და ამბით, რომელთაგან მხოლოდ ცოტაა საინტერესო.

\* ფეისბუქი ბადებს, ფაქტობრივად, ახალ-ახალ ჟანრებს.

ჟანრი „ფეისბუქით ნატირლები“ რით არის „ხმით ნატირლების“ ჟანრზე უინტერესო? არაფრით.

\* ჯადოსნური სარკის განსხეულება, ტელევიზორი რომ გვეგონა, ფეისბუქი ყოფილა.

აბა, ვინ უფრო ლამაზია? აბა, ის სად არის? რას აკეთებს? როგორ გამოიყურება?.. შედი, ნახე.

\* დიდი ახირებული რამეა ეს ფეისბუქი — სწორედ იმ ქალების დაბადების თარიღები არ უწერია, ვისი ასაკიც საინტერესო და საკითხავია.

\* საშინელება იყო 90-იანი წლები: ათასი პრობლემა გქონდა და ვერაფერს შერებოდი. ახლა სულ სხვა ვითარებაა: რა პრობლემაც გინდა გამოგიჩნდეს, აიღებ, დაპოსტავ!

\* საკითხავი და გამოსაკვლევი, სად გაქრა უთვალავი ქართული ისტორიული წყარო, რომელსაც აუცილებლად უნდა ეარსება — რაკი დღევანდელი გადასახედიდან უბრალოდ წარმოუდგენელია დრო და ვითარება, როცა ათიათასობით ჩვენებური მემატია არ იჯდა და რუდუნებით არ აღწევდა მიმდინარე მოვლენებს: „ომია“, „მეფედკურთხევა“, „მინა იძრა“, „ტაძარი გადარჩა“, „დედოფალი დაორსულდა“, „წვიმს“...

დავიჯერო, საქართველოსთვის ლიმიტირებული თითქმის ყველა მემატიაზე ფეისბუქის ეპოქაში დაიბადა?

\* მინისძვრისას მოქცევის წესები:

1. პირველი ბიძგებისთანავე მივარდებით კომპიუტერს/ტელეფონს და ფეისბუქზე ვწერთ სტატუსს (ენამახვილობის ამა თუ იმ ხარისხის).

2. სტატუსში აუცილებლად ვიყენებთ სიტყვა შექანების რომელიმე ვარიანტს: შემაქანა, შეგვაქანა, შეგაქანათ...

3 და 4. შ. წესები კიდევ არის, თუმცა ისინი არც ისე მნიშვნელოვანია.

\* დაისაჯოს ყველა უშუალო დამნაშავე და გამოძიებისთვის ხელის შემშლელი, მეტროს მემანქანების მოემატო ხელფასი, მინისძვრას დაუწესდეს მაგისტრის ზედა ზღვარი, საქართველო გაბრწყინდეს!..

რა ვქნა, ხანდახან მეც მომინდება ხოლმე, ჩემი პოზიცია, ან — თუ დავაზუსტებ — ყოვლად დადებითობა გამოვხატო.

\* მოცდენის საოცარი სიყვარული და უნარი გვაქვს. მართალია, ვინც ახლა სოცმედიაში პოსტავს, ყველა არ ცდება და ზოგი სწორედ რომ მუშაობს, მაგრამ მაინც.

\* ვარსკვლავებით მოჭედილი ცაც კი არ მაცდებს ისე, როგორც ბრტყელ-ბრტყელი ინტერნეტპოსტები ვინრო-ვინრო თვალსაწიერიდან.

\* სხვაგან სად უნდა ცდილობდეს აზროვნების გამოვლენას დღევანდელი ჩვენებური ადამიანი, თუ არა ფეისბუქზე? და სად არის ეს მცდელობები? და თუ არის, რატომ არის ისინი ასე წარუმატებელი? გამონაკლისების არსებობის აღნიშვნას რა აზრი აქვს...

\* აქ ან არავინ აზროვნებს, ან აზროვნებს გეგმის მიხედვით — აქვს მიზანი, პლატფორმა, თეორია (კარგ შემთხვევაში) და





# ზაზა ბიბილაშვილი პოეზია, დანარჩენი ლიტერატურა, და დანარჩენი

\*  
ამ მცხეთელებმა კიდეც — ხან სუმოო, ხან კანოეო...  
მე მგონი, ქართულელობას გვართმევენ!!!

\*  
ტოტოჩინოშინი.

\*  
ერთი ამბობს:  
— ტოტოჩინოშინმა იოკოძუნა ჰაკუჰო ძალიან, ძალიან გააბრაზაო.  
— როგორ — ჭკუიდან გადაიყვანაო?  
და  
— არა — დოჰიოდანო!

\*  
ჩემი მიმდინარე დარდი, რა თქმა უნდა, სუმოს უკავშირდება:  
იმისთვის, რომ ბაშოს მოგების შანსი შევინარჩუნოთ, არა მხოლოდ ლევანმა უნდა მოიგოს ბოლო ბრძოლა, ჰაკუჰომაც უნდა დაამარცხოვოს კაკურიუ.  
ამ დროს, ბაშოს მოგების თვალსაზრისით, ჰაკუჰო უმოტივაციოა, კაკურიუ კი, გამარჯვების შემთხვევაში, ჩემპიონობას ინაღდებს.  
ინაღდება კითხვა: დაუთმობს თუ არა ჰაკუჰო კაკურიუს ორთაბრძოლას?  
ერთი მხრივ, ჰაკუჰო იოკოძუნა და ეს არ უნდა იკადროს. მაგრამ, მეორე მხრივ, ჰაკუჰოც და კაკურიუც მონაწილეები არიან. და ცოტა მიჭირს იმის წარმოდგენა, რას იზამდა პირველი, ორივე ქართველი რომ ყოფილიყო. ხოლო იმის წარმოდგენა არც კი მიჭირს, როგორი იქნებოდა ერის რეაქცია, ორივე ქართველი რომ ყოფილიყო და პირველს მეორისთვის არ დაეთმო...

\*  
ბოლოს და ბოლოს გავარკვიე: სუმო გადაიმყოფებს.

\*  
აბა, არ წამოვქაჩოთ ქართული კრიკეტი?

\*  
რატომ არ იგონებენ და იყენებენ ქმედით საშუალებებს ფეხბურთში სიმულაციისა და დროის გაყვანის წინააღმდეგ? ნუთუ იმიტომ, ეს ორი რამ ფეხბურთს ამაზრუნებს რომ ხდის, მხოლოდ მეჩვენება?

\*  
დავადგინე ამ თავდამსხმელის პრობლემა.  
მეკარე.

\*  
იმ 2 მატჩის შემდეგ, რომელშიც 6 გოლი გავიტანეთ, მეჩვენება, რომ ჩვენი ნაკრების ყველაზე დიდი ნაკლი ფორვარდის უყოლობაა.  
და გავგიჟდი?

\*  
გამოცხადდეს 1981 წლის 13 მაისი ქართული ეროვნული არამატერიალური კულტურის ძეგლად!

\*  
„რეალ“-„იუვენტუსის“ მატჩის ბოლო წამზე იუვენტუსის კარში პენალტის დანიშვნის შემდეგ ღმერთს უთქვამს — მაჩვენეთ „იუვენტუსის“ ერთი ფანი, რომელიც მიიჩნევს, რომ პენალტი იყო, ან „რეალის“ ერთი ფანი, რომელიც მიიჩნევს, რომ პენალტი არ იყო, და მესამე მსოფლიო ომს გადავიფიქრებო.  
დაველოდოთ, აბა.

\*  
ხომ შეიძლება, მხოლოდ პრიმიტიული და გაუმართავი წინადადებები არ მოგდიოდეს თავში? ხომ შეიძლება, ამ წინადადებებს თავდაჯერებული და ყოყორი ხმით არ გაჰყვიროდე? ხომ შეიძლება, ამავე დროს ფეხბურთის კომენტატორი მაინც არ იყო?

\*  
ყოველდღე გიყურებ ტელევიზორში...  
გუშინ პირველად გნახე ნამდვილი და არ შემოძლია, ჩემი აღფრთოვანება არ გამოგხატო:  
რა ტელეგუნური ყოფილხარ!

\*  
შენ ისეთი ლამაზი აღარ ხარ, მაგრამ მერე რა — მეც აღარ მიყვარხარ ისე ძალიან!

\*  
თუ ორ სახლს მხოლოდ თითო ხედი აქვს, თუ ისინი ერთმანეთს უყურებს და თუ ამ ორი სახლიდან ერთი ლამაზია და მეორე უშნო, მგონი, ჯობს, უშნოში ცხოვრობდე.

\*  
გაუფლენთლია ჰაერი, შესაძლო, გზაბნეული, ერთმანეთთან ვერგადაყრილი სიყვარულებით...

\*  
ძალიან ნელა, ძალიან დიდხანს ამოდის ზღვიდან.  
თითქოს იმიტომ, რომ იმ ლამაზ ფეხებს კენჭები სტკენს.  
უფრო კი იმიტომ, რომ ის ლამაზი ფეხები აქვს.

\*  
ჩემი სიყვარულით შენ არ შეგაწუხებ.  
ვინმე სხვას მოვქებნი.

\*  
გუგლ, ტი მოი ეძინსტკენნი, გძე მაია ლიუბიმაია?  
გუგლ ატვენნილ პრედანნი, გუგლ ატვენნილ ისკრენნი...

\*  
რა ვიცი, მე მაინც მგონია, რომ ვილაცა ვილაცას თუ არ მიაშტერდა, ვილაცამ ვილაცას წერილი თუ არ მისწერა, ვილაცამ ვილაცას რამე თუ არ სთხოვა და ბოლოს ვილაცა ვილაცას თხოვნაზე თუ არ დასთანხმდა, არაფერი გამოვა. საერთოდ.

\*  
ახალი შეგონებებიდან:  
შავისა და თეთრის გარჩევა არ უნდა იცოდეს.

\*  
უმცირესობები არატოლერანტულები არიან — ისინი არ ცდილობენ, გაუგონ უმრავლესობას, რატომ არის მათ მიმართ არატოლერანტული.

\*  
აშკარად, მეც განსხვავებული ვარ. მაგრამ მე არ მიმაჩნია, რომ ყველა ჩემნაირი უნდა იყოს. ჯვარიც კი გვწერია.

\*  
დრო გამოვანახე — ვერ ჩავეტიე. აღარ ითმენდა... ვერ გავუძელი — გავატარე... ვკარგავდი!.. გაუხსნარი, გაჩერდა, ვიხელთე და მოვკალი. დროებით!  
ეს ისე, რა — დრო გამომიჩნდა, ვიხელთე, მოვკალი... და ასე შემდეგ.

\*  
ნეტავ, შენი ასაკის ვიყო.  
რამხელა სევდა ყოფილა ამ ფრაზაში. ჰეჰ.

\*  
როცა დგომა, სიარული და სირბილი შეგიძლია, მაშინ არის კარგი მხართქმომე ნამოწოლა, თორემ...

\*  
წარმომიდგენია მარადიული ადამიანის დარდები. ზოგი დარდი მაინც.  
ღირებულებათა რამდენი გადაფასება, თაობათა რამდენი ბრძოლა გადაიტანა. რამდენჯერ თქვა დანაწიებით — ეჰ, ჩვენს დროს რომ იყო... სადალა ახლა... ნახდა ქვეყანა... და ასე შემდეგ.

\*  
რა შესაძლებლობები ვერ გამოვიყენე, თუ ძმა ხარ.

ნეტავ იცოდეს, რამდენი რამე შევქელი, რაც არ შემეძლო.

\*  
რა ხშირად ვდგავართ ცხოვრებაში არჩევნის წინაშე — ბუნებით ყოყმანა ადამიანებმა სხვებზე უკეთ იციან.  
სევდიანია ეს არჩევნები და კიდეც უფრო სევდიანია ილუზია — თითქოს რამეს წყვეტდეს ისინი. თითქოს მნიშვნელოვანი იყოს შესაძლებლობა, სხვადასხვა არჩევანს განსხვავებული გავრძელებები და შედეგები მოჰყვეს.  
მაშინ, როცა ნებისმიერი ვარიანტის ამრჩევი ადამიანი ისევ თავის თავად რჩება, რაც განაპირობებს იმას, რომ ყველა შესაძლო გავრძელება და შედეგი თვისობრივად ერთნაირია.

\*  
ისეთი საწყალი კოლო მოვკალი, თავისი სისხლიც არ გამოუვიდა.

\*  
კაცი თოკზე ეკიდა, სიცოცხლე — ბენვზე.

\*  
ნურვინ გიყვარან. მეტი ან უკეთესი გამოსავალი არ არსებობს.  
ასე შენი სიკვდილია გექნება გადასატანი. მაგას, რა თქმა უნდა, ვერ გადაიტან, მაგრამ ეგ ხომ ყველა შემთხვევაში (ვერ)გადასატანი გაქვს.

\*  
თქვენი სიკვდილი ლამის ჩემი სიკვდილია. უბრალოდ, მათი გადატანის მეტი შანსი მაქვს.

\*  
მგონი, უნიჭოები ვართ. მთელი ცხოვრება გვაქვს იმისთვის, რომ სიკვდილს შევეგუოთ და არაფერი გამოგვდის.

\*  
სიკვდილი შენი „ვარსკვლავური საათია“ — უცბად პოპულარული ხდები, თან სულ (ნუ, ძირითადად) კარგს ლაპარაკობენ შენზე, შენზე მართლა ფიქრობენ, შენზე წუხან, შენზე დარდობენ, შენ უყვარხარ, შენ აფიქრებ ამ ცხოვრებაზე, მის რაობაზე, ამაოებაზე, ერთმანეთის გაფრთხილებაზე, ფეისბუქი შენი ფოტოებით ივსება, შეიძლება შენი პროფესიის მცოდნედაც კი ვალი-არონ, ბოლოს და ბოლოს... ოღონდ ერთი რამაა ამ დროს ცუდი: მკვდარი ხარ.

\*  
ისე არაფერი ცვლის ადამიანის ცხოვრებას, როგორც სიკვდილი.  
ესეც ისეთ ფრაზას ჰგავს, უფრო მე რომ გამომჩნა, ვიდრე არავის უთქვამს. მაგრამ არა უშავს, გადავიტანთ.

\*  
ვაზროვნებ, ესე იგი, არ ვიარსებებ.

\*  
ვაზროვნებ — ესე იგი, ვილაცის მოსაზრებებს ვენიანადმდეგები, აზროვნების გარეშე გაზიარებულ და დაცულ კლიშეებს — მით უმეტეს.  
რას ვიზამ.

\*  
ყველას გვაქვს უფლება, გვექნდეს საკუთარი აზრი, როგორც უნდა იყოს ის, ან სხვისი ჭკვიანური აზრი გავიზიაროთ.

\*  
რა თქმა უნდა, მოაზროვნეს უფრო მეტი პასუხი აქვს, ვიდრე ჩლუნგს, და გაცილებით მეტი კითხვა, ვიდრე ჩლუნგს.

\*  
პასუხები „ჰო“ და „არა“ იშვიათად არის მართალი. ამიტომ მაქვს (ხოლმე) თითქმის

ყველა კითხვაზე გრძელი პასუხები, რომლებიც, საბოლოო ჯამში, პასუხები სულაც არ გამოდის.

\*  
რალაც ადრეც ჩამინერია ერთმანეთის საპირისპირო აფორიზმების არსებობაზე. ახლა ეს მაგალითი გამახსენდა ქართული ანდაზებიდან: „სიმართლე — თვალის სინათლე“ და „მიჰყევ, მიჰყევ სიმართლესო — გამოგილევს სინათლესო“. ორივემ რითმაც კი ერთია, ორივე გამოცდილებას ეყრდნობა, ორივეში იგრძნობა სიმართლე (სინათლე); (რითმის ხარისხზე არ ვლაპარაკობ აქ).

\*  
ჰეჰ, ფიქრობთ — ჩამოვედით, შევერიეთ და ყველაფერი დამთავრდაო. მაგრამ გავიწყდებათ რუჯი, რუჯთა შორის გამორჩეული, რომელიც კიდეც კარგა ხანს გამოგარჩევთ... ჰო, კაი, გამოგვარჩევს...  
სააღდგომო რუჯზე მოგახსენებთ, დიას.

\*  
რატომ ვერ ისწავლება ამ დალოცვილ სახლში (დანესებულბაში) — რომელიც, რომ იკითხო, უმთავრესად სწორედ ამისთვის აუშენებიათ (დაუარსებიათ) — სიკეთე, სათნოება, თავმდაბლობა და მისთანანი?  
არ ასწავლიან თუ არ სწავლობენ? პროგრამაა შესაცვლელი თუ კონტინგენტი? დაფინანსება თითქოს კარგი აქვთ...

\*  
მაინც ვერ გავიგე, როგორ გაგარჩიოთ ერთმანეთისგან მორწმუნეები და ურწმუნონი...

\*  
რამხელა მკრეხელობაა — ამტკიცებდე, რომ ღმერთი არსებობს და თან ისიც კი იცი, როგორია.

\*  
რას ჰქვია, ღმერთი არ არსებობს. ის ხომ ამბობს სახარების ამა და ამ თავში — ვარსებობო?!  
მიყვარს ასეთი არგუმენტები.

\*  
ნებისმიერი ღმერთი, რომელმაც ბოლო საუკუნეებამდე არ იცოდა, რომ დედამიწა მრგვალია, ცოტა საეჭვოდ გამოიყურება. ჩემი აზრით.

\*  
ობიექტურობას ერთი გადამწყვეტი ნაკლი აქვს — არავინ აფინანსებს.

\*  
თუ სიმართლე გვინდა, თავისთავად სიმართლე არასდროს გვინდა, კერძოდ, არასდროს გვინდა სიმართლე, რომელიც არ გვანყობს.

\*  
რატომ გიყვარს სიმართლე, სიკეთე, პატიოსნება? განა რა სარგებელი გინახავს მათგან? განა რით დაიმსახურეს შენი სიყვარული?  
ამაზე ერთი პასუხი რომ არსებობს, ნამდვილად ვიცი — სხვისი ნათქვამი, სხვა სიყვარულზე:  
„რად მიყვარხარ? ბემურაზი ვიყო, თუ ვიცოდე!“

\*  
თუ ფიქრობ, რომ სიმართლე შენი მეგობარია, მაშინ ისიც იცოდეს, რომ ის შენთვის თავს არასდროს განიარავს.  
ეს რომ ექნა, ის ნამდვილი მეგობარი იქნებოდა, მაგრამ აღარ იქნებოდა სიმართლე.

\*  
სიმართლე გეუბნება, რომ ის ყველგანაა. ყოველ შემთხვევაში, ერთგან ნამდვილად არ არის. სიმართლე აქეზებს ჭყრეტას, შესაბამისად — უმოქმედობას.

\*  
იმდენი რამეა საფიქრალი, როგორ შეიძლება რამის გაკეთება მოასწრო?

\*  
დინებას თუ არ მიჰყვები, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვერც გრძნობ.

კრახანების პორილი მზივი

18. 10. 2017. ერთმანეთს წაეწყო კრახან... მზიანი დღეები და დილაობით ვერის ბაღში გავდივარ...

ემზარ კვიციანი

რქანითელის მტკნარი



შინ დაბრუნებული, შუადღით, აივანზე ვავედი. მზე გვერდულად ანათებდა, გორებისკენ ეშურებოდა ჩასაგორებლად...

სულმა, გათამამებულმა, მის სამფლობელოში დაყვინთე, მაშინვე სუნს იკრავს და მალე იხილავს გაფლანულ სკატზე უარეს საშინელებას...

სიტყვათა ვირტუოზულ თამაშზე აგებულ იმ ადრეულ კომედიაში.

სხენებულ ზაფხულს გიორგი ლეონიძის და ჩემი სიდედრი ნინო ლეონიძეც, ჩვენთან იყო და ყოველნაირად ცდილობდა, კმაყოფილება დაეპოვებინა...

ეს კრახანები ჯერ ისევე დაჰქრიათ ნებით-ქვეით. სიცოცხლის მოჭარბებული იყინი არ ასვენებთ, შეღამდეს და თავიანთ მყუდრო, ნალოლიანებულ მზაფურებზე...

კალმართა ნაირსახეობაზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი. ერთს, განსაკუთრებულად აგრესიულს, მენამული ფერის გამო „ნითელ დრაკონს“ ეძახიან. მათი უმრავლესობა ანტარქტიდის წყლებში დაწრიალებს...

გიუნაშვილების სახლი, რამდენადაც მასსოვს, პატარძელების შემოსასვლელთან დგას, სამაგალითოდ მოვლილი პატარა, ხეხილიან ეზოში. ზედმეტია იმის თქმაც, როგორ თბილად შემეგებნენ ელგუჯა და მისი უზომოდ კეთილი მეუღლე გულიკო...

გარზე მკვრივად დახვეული და დანაოქმებული ბრტყელ-ბრტყელ ხინკალი ორთქლავდა. მიერთვით, ისიამოვნეთო, რაღას არ გვთავაზობდნენ აქეთ-იქიდან...

გაგონილი მქონდა დიასახლისზე, კარგად მღერისო, მაგრამ ამის თქმა სრულიად არაფერს ნიშნავს, ასეთ რამეს ათას ვინმეზე ამბობენ. იმ დღეს რაც მოვისმინე, ყველა წარმოსადგენი აღემატებოდა...

მომღერლის ხმა ვედრებას გავდა. ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის, სიტყვები რომ არ ჩავინერე. მიახლოებით კი შემძლია მოვხაზო...

არვის მეგულის შენდარი, გასნიე, ჩემო შვინდო, შეგვეგვლები, ალბათში მუხლი თუ შეგმიწინაო. ქედს დაგიკოცნი, მე შენი ადრევეც მითქვამს ქებო, შორით მამაღმა იყივლა, საცა გათენდება...

კარგა ხანს ვასტანა მოლანდებლასავით, სიზმარივით ათრთოლებულმა „ურმულ-მა“. ვგონებ, ამ სიმღერის რამდენიმე, ნაკლებად ცნობილი ვარიანტი გადააწვინა ერთმანეთს...

რას არ გავიმეტებდი, ის სიმღერა ისევე რომ მომესმინა, იმავე ჭერქვეშ, იმავე გარემოცვაში. ვინ მოსთვლის, რამდენი ხალასი ნიჭი იკარგება სამუდამოდ...

მემწელება თქმა, რა ამოსდიოდა ძლივს შესამჩნევად მფეთქავი, ღმერთების ხელით ნაქსოვი ყელიდან — გრძელ ტალღებად განვნივლია და გაბმული, მაისის თაფლივით განწვლილი ოხვრა ჰაერში ნებიერად დნებოდა...

კალმარები

19. 10. 2017. საავადმყოფოში დასახლდა ვემზადები, კითხვასაც ველარ ვუდებ გულს და ვლამობ, ყურადღება სხვა რამეებზე გადავიტანო, უამურ საფიქრალს ვავერედო...

ალარ მაგონდება, ადამიანი ჭამს თუ არა კალმარის ხორცს. კაცობაღებო და იარებიან ამ ქვეყანაზე (რამდენჯერ გამოუქვეყნებიათ ფოტოები) და კალმარს რას დაერიდებათ...

საერთოდ, ასეთი თემატური გადაცემები მუდამ საინტერესოა, საქმის მცოდნეები აკეთებენ. წელანაც გაიმეორა „ისტორიის“ არხმა საშინელებათა ამსახველი შემეკოტობელი მასალები...

„ურმული“

31. 12. 2017. პატარძეულში გატარებული მთელი ზაფხული საშუალო ნეტარებად შემორჩა ჩემს დამძიმებულ უკვე დაცხრილულ მეხსიერებას...

მალე სიდედრმა მითხრა — ხვალ ერთ ახლობელ ოჯახში ხინკალზე გვეპატიუებინ და უსათუოდ უნდა წავიდეთო. შუადღე იქნებოდა, მოპატუიუებს რომ ვენციეთ. ოჯახი შეძლებულს, ღონიერს გავდა...

ქალს მთლიანი, დახურული, მოყვითალო, თუთუნის ფერი კაბა ეცვა (მზის გულზე გამოსაშრობად გაფენილი თამბაქოს ფოთლები გამახსენდა)...



გამომცემელი

მარინა ბალავაძე

გამომცემლობა „აგორა“ არაერთი წელია, თანამიმდევრულად, გააზრებულად, აუჩქარებლად მიიწვეს წინ და ალბათ ამიტომაც დანიშნურდა, ნიგნის მოყვარულები შემოიკრიბა — ქართულად თარგმნილი ფრანგული მწერლობა სულ უფრო მეტი მკითხველის ყურადღებას იქცევს. ეს ის შემთხვევაა, როცა შემოქმედებითი მიდგომა თავისთავად მოიტანს ხოლმე წარმატებას კომერციული თვალსაზრისითაც. ყველაფერი 2006 წელს დაიწყო. და როგორ მოვიდნენ დღემდე — გამომცემლობის დირექტორი მარინა ბალავაძე მოგვითხრობს.

— მომიყვით, როგორ დაარსდა გამომცემლობა „აგორა“ და რატომ აირჩიეთ პრიორიტეტად სწორედ ფრანგული და ფრანგულენოვანი ლიტერატურის გამოცემა?

— ფრანგული ენის სპეციალისტი ვარ — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დავამთავრე, ახლა ილიას უნივერსიტეტში პედაგოგიურ საქმიანობას ვწვევი, მანამდე მეცნიერებათა აკადემიაში სამეცნიერო ტექსტებზე ვმუშაობდი... სულ ვცდილობ, ყოველდღიურობამ არ ჩამითრიოს, არ მომწყვიტოს მხატვრულ ლიტერატურას, მწერლობის სიახლეებს, და წლების წინაც ეს გახდა მიზეზი, მეფიქრა საკუთარ გამომცემლობაზე — რატომაც არა, მქონდეს-მეთქი. აი, ასე დავაფუძნე „აგორა“ და, ჩემი სპეციალობიდან გამომდინარე, გადავწყვიტე, პრიორიტეტად ამერჩია სწორედ ფრანგულენოვანი ლიტერატურის გამოცემა, ამ ნიშის შევსება. თუმცა მინდა, გითხრათ, რომ მართალია, ძირითადად, ფრანგი და ფრანკოფონი მწერლების ნაწარმოებებს გამოვცემთ, არც სხვა ენებზე შექმნილი ნიგნები გვრჩება უყურადღებოდ და სულ ვცდილობთ, მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები შევთავაზოთ საზოგადოებას. თითქმის ყველა მიმართულება და ჟანრს მოვიცავთ — რომანებს, დოკუმენტურ პროზას, საბავშვო მწერლობას.

— „აგორას“ სერიებიც მკითხველის დიდი ინტერესით სარგებლობს.

— „ავანსცენა“ ერთ-ერთი გამორჩეულია ჩვენს სერიებში. ამ სერიის სახით, დრამატურგიის მოყვარულებს საუკეთესო პიესები შევთავაზებთ. მათ შორისაა ალბერ კამიუს „რეკვიემი მონაზონისთვის“, „კალიგულა“, პიერ ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“, ტენისი უილიამსის „კამინო რიალი“, მოლიერის „დონ ჟუანი“, ჟან პოლ სარტრის „ცხრაკლიტური“ და სხვა ნიგნები. საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია სერია „კვალმა“. მისი სახით მკითხველს არა იაფფასიანი, მაღალი მხატვრული დონის დეტექტივის დიდი არჩევანი აქვს. სერია დეტექტივის დედოფლად ნოდებულის ფრედ ვარგასის ნაწარმოებებით დავიწყეთ და გამოვეცით მისი ხუთი ნიგნი. ესენია: „ნადი სწრაფად და დაბრუნდი გვიან“, „მარადიულ ტყესა შინა“ თამარ ხოსროაშვილის თარგმანით, „ნეპტუნის ქარიშხლები“, „ლურჯი ნრეები“, რომელზეც ემა ობგაიძემ იმუშავა და „მოლელავს სენა“ — დეტექტიური ნოველების კრებული, რომელშიც როგორც ჩემი, ისე გიორგი ეკიზაშვილისა და თამარ ხოსროაშვილის თარგმანები შევიდა. მალე ამ შესანიშნავი ავტორის კიდევ ერთი დეტექტივი გამოვა. ძალზე დაამშვენა კლასიკოსი ავტორების ცნობილი ნაწარმოებები.

მაც. მათ შორისაა კრებული „ჩემი საყვარელი მკვლევლობები“.

— თუ არ ვცდები, ამ კრებულში სხვადასხვა მწერლის მოთხრობები შევიდა და ისინი ალფრედ ჰიჩკოკის დეტექტიური ჟურნალიდანაა თარგმნილი.

— დიახ, ჰიჩკოკის დეტექტიური ჟურნალი 1956 წლიდან გამოდის. ამ ცნობილი პერიოდული გამოცემის დღევანდელმა ხელმძღვანელმა, ლინდა ლანდრიგანმა, ჟურნალის მკითხველებს შორის ერთგვარი გამოკითხვა მოაწყო, მათ მიერ შერჩეული მოთხრობები ამოკრიფა და ანთოლოგია შემოგვთავაზა. წიგნში ოცდაათხმეტი მოთხრობა შევიდა.

— ალბერ კამიუს შემოქმედებაზე, ვფიქრობ, „აგორამ“ ყველა სხვა ქართულ



გამომცემლობაზე უფრო პროდუქტიულად იმუშავა.

— კამიუს ნიგნების თარგმნასა და გამოცემაზე „აგორა“ ექსკლუზიური უფლებით სარგებლობს. ბევრი ნაწარმოები გამოვეცით, ვიტყვოდი — საუკეთესოები. მათ შორის, „შავი ჭირი“, რომლის პირველ გამოცემაზეც მთარგმნელებმა — გასტონ ბუაჩიძემ, ნესტან იორდანიშვილმა და კოტე ჯავრიშვილმა იმუშავეს, ცოტა ხნის წინ კი რომანი მზია გომელაურმა ახლიდან თარგმნა და ის მალე გამოიცემა. გვაქვს, ასევე, გურანდა დათაშვილის თარგმნილი „უცხო“, ნესტან იორდანიშვილის თარგმნილი „დაცემა“, პიესები, რომლებზეც უკვე მოგახსენეთ და ფილოსოფიური ესეები. ერთ-ერთი ესეც, „სიზიფის მითი“, მთარგმნელი მე ვარ, ცოტა ხნის წინ კი დავამთავრე მუშაობა სხვა, ძალიან ცნობილ ფილოსოფიურ ესეზე, „ამბოხებული ადამიანი“. ნიგნი მალე გამოვა და ალბათ თბილისის საერთაშორისო ნიგნის ფესტივალზეც წარვადგენთ.

— როგორც ვხვდებით, მაღალი ხარისხის მხატვრული ლიტერატურის წარმოდგენა შესაბამისი დონის თარგმანებით თქვენს პრიორიტეტებს შორისაა.

— დამეთანხმებით, ერთგვარი ფუფუნებაა, როცა საშუალება გვაქვს, თარგმანი დედანს შეადარო, ფრანგულენოვან ლიტერატურას ვგულისხმობ. თუმცა აქვე ვიტყვი, რომ არსებობს განმავლობაში „აგორამ“ თავისი საქმის უბადლო მცოდნე, პროფესიონალი მთარგმნელები შეკრიბა. ჩვენს გამოცემებზე, თარგმანებზე საუკეთესო სპეციალისტები მუშაობენ, გვყავს საინტერესო ჯგუფი, რომელსაც ბოლომდე ვენდობი. ჩვენი მთარგმნელები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ნაწარმოებს, ორიგინალის, ავტორის, მისი სტილისა და ენის ერთგული რჩებიან. თუმცა არც ერთი ნაწარმოები ისე არ გამოგვიცია, დედანთან არ შეგვედარებინა. ძალიან სკრუპულოზურად ვმუშაობთ. ამაყები ვართ, რომ ვთანამშრომლობთ ისეთ მთარგმნელთან, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი ეკიზაშვილია. მის თარგმანს ხელოვნების ნიმუშს შევადარებდი, ყოველი ახალი ნამუშევარი ერთგვარი სახელმძღვანელოა.

— „აგორამ“ დაარსების დღიდან 100-ზე მეტი წიგნი გამოსცა. თქვენს რჩეულ ავტორებს შორის არიან დიდი კლასიკო-



არჩევანს ხშირად ვაკეთებთ იმ ავტორებზეც, რომლებსაც უცხოეთში აღიარებენ, თუმცა ქართულენოვანი მკითხველი მათ ნაკლებად იცნობს. დავასახელებდი რომენ გარის, მე-20 საუკუნის უდიდეს მწერალს. „აგორამ“ მისი ნაწარმოებების გამოცემა პირველმა დაიწყო. რომენ გარის ნამდვილი გვარია კაცევი. იგი რომანებს, პროზაულ კრებულებს, პიესებს სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფსევდონიმით აქვეყნებდა, მათ შორის რომენ გარისა და ემილ აჟარის სახელებითაც. ის ერთადერთი ადამიანია, რომელმაც გაცურა საფრანგეთის ყველაზე პრესტიჟული ლიტერატურული პრემიის, „გონკურის“, კომპეტენტური და გამოცდილი ჟიური და პრემია ორჯერ მიიღო — ერთხელ, როგორც რომენ გარის, რომანისთვის „ცის ფესვები“, ხოლო მეორედ, როგორც ემილ აჟანიმ, რომანისთვის „ცხოვრება წინაა“. მხოლოდ მწერლის გარდაცვალების შემდეგ გაირკვა, რომ ორივე თხზულება ერთსა და იმავე ავტორს ეკუთვნოდა. ის ძალიან საინტერესო და მრავალმხრივი მწერალია, ჩვენ მისი არაერთი რომანი გამოვეცით და ყოველ მის ნაწარმოებში მკითხველი ახალ მწერალს ხვდება, ახალ პრობლემას ეცნობა, იმ პრობლემას, რომელიც, მგონი, დღეს უფრო აქტუალურია, ვიდრე გასულ საუკუნეში იყო.




როგორც გითხარით, გარის გამოცემა პირველებმა დავიწყეთ, ბევრი ვიმუშავეთ მის შემოქმედებაზე და მკითხველს შევავარეთ ეს ავტორი. არანაკლები პოპულარობით სარგებლობს ფრანგი ნოველისტი და არაერთი ლიტერატურული ჯილდოს მფლობელი დანიელ პენაკი, კანადელი მწერალი გაეტან სუსი, რომლის რომანი „გოგონა, რომელსაც ძალიან უყვარდა ასანთი“ ლიტერატურის კრიტიკოსებმა 21-ე საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო ფსიქოლოგიურ დრამად შეაფასეს. ასე რომ, იაფფასიანი ლიტერატურა ჩვენ არ გვიყვარს, მაკულატურას არ გამოვცემთ და ასე ვიკრიბავთ ერთგულ მკითხველს.


— თანამედროვე საფრანგეთის ლიტერატურული ცხოვრება, ლიტერატურული პროცესები მართლაც აისახება თქვენს გამოცემებში.

„მაკულატურას არ გამოვცემთ“

სები, რომლებიც ზემოთ უკვე ახსენეთ. ხოლო მათ შორის, ვინც ჯერ არ გიხსენებიათ, არის როლან ბარტი, ფრანგული ლიტერატურის კრიტიკოსი, ლიტერატურისა და სოციალურ მეცნიერებათა თეორეტიკოსი, ფილოსოფოსი და სემიოტიკოსი, რომლის ორი ნიგნიც, „მითოლოგიები“ და „ფრაგმენტები შეყვარებულის საუბრიდან“ თქვენ სხვადასხვა დროს თარგმნეთ. „აგორას“ კლასიკოსებს შორისაა სენტ ეგ ზიუპერიც და კიდევ ბევრი სხვა ავტორი. თუმცა თანამედროვე ლიტერატურის მიმართაც არანაკლებ ყურადღებას იჩენთ.

— ჩვენ გამუდმებით ვეცნობით მსოფლიო ლიტერატურის სიახლეებს. გვიანტერესებს ახალი სახელები, ვკითხულობთ ნაკლებად ცნობილ, თანამედროვე ავტორებს და თუ დავრწმუნდებით, რომ ისინი ღირებულ ნაწარმოებებს ქმნიან, ვინცერთ მათი ნიგნების შერჩევასა და თარგმნას. შესაძლოა, ეს არ იყოს კომერციული პროექტი, მაგრამ ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება საინტერესო სახელები გავაცნოთ საზოგადოებას. „აგორამ“ მკითხველის ნდობა სწორედ ამგვარი მიდგომებით მოიპოვა და ეს ძალიან გვახარებს.





# ემზარ კვიციანი რქანითელის მტეხანი

მოვიხმოდ გიორგი ლეონიძის შედეგები „მეგირალობა“-ში. იშვიათად მომხდარა, რომელიმე ქართველ პოეტს ასე სახიერად, ფერსაგვედ დაეხატოს ნელინადის ულამაზეს დროთაგანი — შემოდგომა — და ეს, უმთავრესად, რითმების ნილად მოდის. ნათქვამი ცხადი გახდება, თუ დავაკვირდებით პირველსავე სტროფს:

*ჩამაჭრდა კახეთს ჰაერად,  
ტყევი გადყარა მიწაზე,  
ენკენისთვის მთებიდან  
ისმის ყვირილი ირმისა.*

სართომო წყვილი (გადიყრმიზა — ირმისა) ისე ჰარმონიულადაა ერთმანეთს გადანული, უკეთეს შეხამებას ვერც ინატრებ. თანაც საყრდენი თანხმოვნების სრული დამთხვევა, იგივეობა აცილებულია. ამას გზას უხსნის, წარმართავს ზანისა და სანის ესოდენ საჭირო მონაცვლეობა, რაც სასურველ მრავალფეროვნებას ქმნის გადანითლებული ტყეების ფონზე.

„მეგირალობას“ ყველაზე თვალსაჩინოდ გასდევს ამ სიტყვაში შემავალი ასონიმები — ყარი და რაე („რასა ჰყვირიან ირმები ყორან-მთას, ყარაიასა“). ბგერათა ყოველ შეხამებას არ გამოვეყოფ, ისედაც მისახვედრია. ლექსი მთლიანად ამ კეთილმზომიანებაზე აგებული. პოეტი თავად ედარება ენკენისთვის აზომიყვებულ, მთაზე მოზღვრავ ირემს და ეს მარჯვე პარალელი კვლავ ზემოთ ნახსენები ბგერებითაა მიღწეული, ხაზგასმული:

*დაშტერებული ჯოგები  
მორბიან თავდაყირაში...  
ხარი ფურს ქებებს ღრიალით,  
მე — სიყვარულსა, მეგირალი!*

ჭაბუკი გიორგი ლეონიძის დამლოცველი დიდი ვაჟა თავის ერთ უძლიერეს ლექსში პირდაპირ ამბობს: „ხარს ვგვევარ ნაილადას, რქით მინასა ვჩხვერ, ვბუბუნებ...“ და „მეგირალობის“ ავტორიც ესმინება საამაყო წინაპარს: „გახლებული ხარი ვარ, გემს ვიღებ ნიავექრზედა...“ ეს გადაძახილი შემთხვევითი არ გახლავთ.

ფურის მაძებარი, ტყისა და ლერწმონების გადამჭედავი ხარის კვალზე დამდგარი პოეტი, ფინალური სტროფში საყვარელთან შესხვედრას რომ ესწრაფვის, მზურვალე მკერდიდან ამოშვებს ზღვარდაუდებელ ყიფინას და რითმას მცირე როლი არც აქ აკისრია:

*...სულ მივამტვრიო, მივლენო,  
გულში რაც გადაირაზა,  
შევეყვირო, როგორც ირმები  
ჰყვირიან ყარაიასა.*

ამჟამად შევეცადე ერთი ლექსის მაგალითზე მომჭირნე მეჩვენებინა, რა შეუცვლელი სამსახურის განევა ძალუმს ოსტატურად, თავის ადგილზე ჩასმულ და ზუსტად შერჩეულ რითმას პოეტურ ქმნილებაში.

ზედმეტი არ იქნება, აქვე მოვიტანოთ ოთარ ჭილაძის ერთ-ერთი საუკეთესო პოემის („იტალიური რვეულის“) სტროფი, სადაც სხვადასხვა თვისებათა მქონე ბგერები გამოყენებულია უშუალოდ მქონე მეტაფორის შესაქმნელად; ეს კი იმისთვისაა გამიზნული, ქალის ბუნება, მისი მოუბეზრებელი ნაირსახეობა ხელშესახებად დაიხატოს. საგულისხმოა, რომ თავისი შთანაფიქრის ხორცშესახებლად პოეტი ხმოვანის მაგიურ უნარს იშველიებს, რაზედაც ისევ და ისევ, რითმა მიგვანიშნებს.

*ერთნაირია ყოველთვის ქალი,  
მაგრამ არ არის ერთფეროვანი,  
ის საგნებს აძლევს ხმასა და ძალას,  
როგორც თანხმობს ბგერებს ხმოვანი.*

რითმა ექვს თავისებური, გამჭოლი ნაირსახეობაა და გასაკვირია — ძველმა ბერძენმა ლირიკოსებმა, სტროფიკაში სასწაულებს რომ ახდენდნენ, ამ უცნაური, ტბაში მაქცერალ ნარცისზე შეყვარებული, თავის სამყოფელში ხავსადაფენილი ნიშნას საიდუმლოს როგორ ვერ მიაგნეს. თუმცა ისიც სათქმელია — თავიანთი შეუმცდარი, უდახვეწილესი გემოვნება და სწორუბოვარი მონადინება სტრიქონთა შიგნით მიმართეს და ლექსზე დასახარჯ პოეტურ ფინს აქ მისცეს გასაქანი.

ნამდვილად გვიჩნდა, ასე მოხდეს და არ ჩამოვრჩეთ სიახლეებს. „აგორას“ გალერეას ამშვენებენ შესანიშნავი არაფრანგი მწერლებიც, მათ შორის არიან დიდი იტალიელი ავტორი იტალი კალვინო, მე-20 საუკუნის ცნობილი თურქი მწერალი, თურქული ლიტერატურის მკვლევარი აჰმედ ჰამდი თანფინარი, მეტად საინტერესო ახალგაზრდა თურქი პაქან გიუნდაი, რომელსაც თანამედროვე მეამბოხე ავტორს უწოდებენ, ის იმდენად მწვავე პრობლემებზე წერს, რომ ხანდახან ფიქრობ, ღმერთო, როგორ რისკავს, ასე აიმაღლოს ხმა.

მკითხველისთვის ახალი სახელების გაცნობაში ძალიან დაგვეხმარა ევროკავშირის პროგრამა „შემოქმედებითი ევროპა“, პროგრამის ბენეფიციარები ჩვენ და გამოცემლობა „ელფი“ გავხდით. მიღებული გრანტით „აგორამ“ ძალზე წარმატებული საგამომცემლო პროექტი „ევროპის ლიტერატურული მოზაიკა“ განახორციელა. პროექტის ფარგლებში გამოცემული ევროპელი ავტორების ნაწარმოებებმა — იტალიელი იტალი კალვინოს „ბარონი ხეზე“, დანიელი დონალ რაიანის „ფრიალებს გული“, ბელგიელი იზაბელ ვერის „უძველო მერლინი“, ინგლისელი ევი ვაილინის „ყველა ჩიტი გალოხს“, თურქი ჩილირ ილჰანის „გადასახლება“, ფრანგი რომენ გარის „მშვიდობით გარი კუპერ“ და ფრანგი დანიელ პენაკის „კამოს თავგადასავალი“ ოთხნიგნად — მართლაც ერთგვარი მოზაიკა შექმნა, მკითხველს ევროპული მწერლობის ერთიანი და იმავე დროს, მეტად მრავალფეროვანი სურათი დაანახა. ძალიან მიხარია, რომ ამ სერიას წარმატებით გავართვით თავი. ასეთი საგრანტო პროგრამები თუ არ იქნება, გამოცემლობებს გაუჭირდებათ განვითარება, მიზნისკენ სვლა.

**როგორც ვიცი, პროგრამის ფარგლებში ენვისა თბილისის ზემოთ ჩამოთვლილ ავტორთაგან ერთ-ერთი.**

— დიას, იზაბელ ვერი შარშან სტუმრობდა თბილისს და თავად წარადგინა ნიგნი ფრანგულ მედიათეკაში. ის ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსაც შეხვდა. მეტად საინტერესო შემოქმედია. გარდა

იმისა, რომ პოპულარული მწერალი ვახლავთ, რეჟისორი და მსახიობიც არის. მისი პიესები წარმატებით იდგება თეატრებსში, ხოლო რომანმა „უძველო მერლინი“, რომელიც ჩვენ ვთარგმნეთ და გამოვეცით, 2013 წელს ევროკავშირის ლიტერატურული პრემია დაიმსახურა.

**— ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე გაქვთ, გერონტი ქიქოძის სახელობის მთარგმნელობითი კონკურსის სახით. მიაშბუთ მასზე.**



— გერონტი ქიქოძის სახელობის მთარგმნელობითი პრემია წელს დავარსეთ. ამიერიდან იგი ყოველწლიურად გადაეცემა ფრანგულენოვანი რომანის საუკეთესო ქართულ თარგმანს. ჟიური შედგება ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტებისგან და მისი შემადგენლობა კონფიდენციალურია. სხვადასხვა მნიშვნელოვანი ლიტერატურული პრემია არსებობს ჩვენთან — რატომ არ უნდა იყოს კიდევ ერთი?!

ასეთი კონკურსი დიდი სტიმულია მთარგმნელებისთვის, ამავე დროს ხელს უწყობს ფრანგული ლიტერატურის პოპულარიზაციას, გამარჯვებულს 28 მარტს გამოვავლენთ. მეგრა, მომავალში ნომინაციები გაიზრდება და უფრო მეტი ადამიანი შეძლებს კონკურსში მონაწილეობას. იმედი მაქვს, კონკურსის ფინანსური მხარდაჭერებიც გამოუჩნდება.

პრემიის სახელზე ბევრი ვიფიქრეთ. მოგეხსენებათ, გერონტი ქიქოძე მე-20 საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწეა, ლიტერატორი, მკვლევარი, ბალზაკის, სტენდალის, ალფონს დოდეს, ანატოლი ფრანსის მთარგმნელი. მისი მოღვაწეობა, მისი სახელი ნამდვილად პასუხობს პრემიის იდეასა და შინაარსს. მეცნიერის მემკვიდრეები სიხარულით შეხვდნენ ამ გადაწყვეტილებას და დაგვრთეს ნება, ლიტერატურული პრემიისთვის მისი სახელი მიგვენიჭებინა. ამისთვის დიდად მადლობელი ვარ მათი.

აი, ასე ვსაქმიანობთ. ბევრი ჩანაფიქრი, გეგმა გვაქვს და ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტი და მეტი გავაკეთოთ ქართველი მკითხველისთვის. ვფიქრობ, მკითხველიც ხედავს და აფასებს ჩვენს მონადინებას.

### ესაუბრა თამარ ჟურული





ჰაინრიხ ბიოლი

# მცინარა

პროფესიას რომ მეკითხებიან, მაშინვე ვიბნევი, ვნითლდები და ენა მებმის; არადა, ჩემი დარბაისლურობით ვარ ცნობილი. მშურს ყველასი, ვისაც თავისუფლად შეუძლია თქვას: კალატოზი ვარო. მშურს დალაქების, ბულალტრების, მწერლების — მათი პროფესიის უბრალოება მშურს, არ სჭირდებათ ზედმეტი ახსნა-განმარტება. მე კი, იძულებული ვარ, მსგავს შეკითხვებს ასეთი პასუხი შევუვებო: მე ვიცი! ასეთი დაშვება კი უსათუოდ წარმოშობს ახალ კითხვას: „ასე შოულობთ ლუკმა-პურს?“ რაღა დასაძალია და: „დიახ“; მე ხომ მართლაც ჩემი სიცილით ვირჩენ თავს, თანაც საკმაოდ კარგად, იმიტომ, რომ ჩემს სიცილზე, კომერციული თვალსაზრისით, ძალიან დიდი მოთხოვნაა. მე არაჩვეულებრივად ვიცი. ამ სფეროში დიდი გამოცდილება დავაგროვე. ჩემსავით სხვა ვერავინ გაიცინებს, ჩემებურად ვერავინ გაართმევს თავს ამ ხელოვნების სათუთ წვრილმანებს. დამლული ახსნა-განმარტებებისგან რომ დამეძვინა თავი, კარგა ხანს თავს მსახიობად ვასაღებდი, მაგრამ იმდენად მწირი უნარი აღმომაჩნდა განსახიერებასა და მჭევრმეტყველებაში, რომ ეს ტიტული ამკარად შორს იყო ტყეშმარტებისაგან. მე კი სიმართლე მიყვარს. სიმართლე ისაა, რომ მე უბრალოდ მცინარა ვარ. ნურც კლოუნი გეგონებთ და ნურც კომედიანტი. მე არავის ვაცივებ, თავად სიცილი ვახლავარ: შემოძლია რომის იმპერატორი ვიცი, ანდაც, რომელიმე ფხუკიანი მაღალკლასელივით. მე-17 საუკუნისათვის შესაფერი სიცილი ისეთივე მშობლიურია ჩემთვის, როგორც მე-19 საუკუნისა. და თუ გარემოება მოითხოვს, ყველა საუკუნის სიცილ-ხარხარს ავტეხ; არ გამოვტოვებ საზოგადოების არცერთ ფენას, არცერთ თაობას: ეს ისევე ჩვეულებრივ ვისწავლე, როგორც მენალემ ფესსაცმლის შეკეთება. ჩემს გულ-მკერდში ერთად ბუდობს ამერიკული სიცილი, აფრიკული სიცილი, თეთრი, წითელი, ყვითელი სიცილი, და შესაბამის გასამრჯელოდ მათ ისე ავაჟღარუნებ ხოლმე, როგორც რეჟისორი მიკარნახებს.

ამ სფეროში ნამდვილად უნიკალური

გავხდი: ჩემი სიცილი ინერება ფირფიტებზე, ფირებზე. უნდა ნახოთ, როგორი მონინებით მეპყრობიან რადიო-რეჟისორები. ვიცი, მწუხარედ, ზომიერად, ისტერიულად; შემოძლია ვიცი, როგორც ტრამვაის ვატმანმა, ანდაც შეგივინა — სასურსათო მაღაზიაში პროდუქტის შესაფუთად რომ გინვდით ხელს; სიცილი დილაობით, სიცილი საღამო ხანს, ღამეული სიცილითა და შებინდების სიცილით — ერთი სიტყვით: როცა სიცილი სჭირდებათ — მე მაკითხავენ.

რა თქმა უნდა, ამგვარი საქმიანობა მომქანცველია, მითუმეტეს, რომ გადამდებ სიცილშიც დავოსტატდი. ამ უნარის წყალობით აუცილებელი ვარ დაბალი რანგის კომედიანტებისთვის, რომელთაც საფუძვლიანი შიში აქვთ იმისა, რომ აუდიტორია მათ ხუმრობებს ვერ მიხვდება. მეც საღამოობით უმეტეს დროს ღამის კლუბებში ვატარებ, როგორც ერთგული შეგივინდი, ველოდები უშნო ხუმრობას მოვკრა ყური, რომ გადამდები სიცილი ავტეხო. მთავარია დროის შერჩევა: ჩემი გულიანი, როხროხა სიცილი არც ნაადრევად უნდა იყოს და არც დაგვიანებული, სწორედ მაშინ უნდა გაისმას, როცა საჭიროა: წინასწარ განსაზღვრულ დროს ავტეხ ხმამაღალ სიცილს, მთელი აუდიტორიაც მაშინვე ამყვება და ხუმრობაც ჩათვლილია!

მოგვიანებით გარდერობისკენ მივლასლასებ ღონემიხდილი და ვალმოხდილი, საკუთარი თავით კმაყოფილი ჩავიცვამ პალტოს. სახლში სულ ასეთი წერილები მელოდება: „დაუყოვნებლივ გვჭირდება თქვენი სიცილი. ჩაწერა სამშაბათს“. რამდენიმე საათის შემდეგ გადაჭედულ მატარებელში მჯდომი ჩემ ბედს დავტირი.

ალბათ ადვილი მისახვედრია, რომ სამსახურიდან დაბრუნებული ან შევბუღებულში მყოფი სულაც არა ვარ სიცილის ხასიათზე. მწველავი სიხარულით ანებებს თავს ძროხას, ხოლო კალატოზი სამშენებლო მასალას; დურგლებს, როგორც წესი, თითო მოშლილი კარი ან უჯრა ელოდება სახლში, ჯაჯგურითა და ნვალებით რომ იღება. მცხობელი კიტრის მწილზეოცნებობს, ყასაბი — კანფეტებზე, ხაბაზს ძეხვი ურჩევნია პურს; ტორეადორებს მტრედების მოვლა უყვართ, მოკრივეები ფითრდებიან, როცა მათ შვილებს ცხვირიდან სისხლი ჩამოსდით. ვის ვისი და, მე თითოეული მათგანის



მშვენივრად მესმის, რადგან სამუშაო დღის დასასრულს არასოდეს ვიცი. მე მკვდარზე მკვდარი ადამიანი ვახლავართ და ხალხიც არ ტყუის, როცა პესიმისტი ვგონივარ.

ახალი ცოლ-ქმარი რომ ვიყავით, მეუღლე სულ მსაყვედურობდა: „გაცივებ, რა!“ მაგრამ დროთა განმავლობაში მიხვდა, რომ ამ თხოვნას ვერ ავუსრულებდი. ბედნიერი ვარ, როცა თავისუფლად ჩამოვუშვებ ხოლმე დაჭიმულ სახის ნაკვეთებს და დაძაბულ გონებას ღრმა სერიოზულობაში ვძირავ. დიახ, სხვისი სიცილიც მაღიზიანებს, რადგან იმ წამსვე ჩემს პროფესიას მახსენებს. შესაბამისად, ჩვენ ჩუმ, წყნარ ცოლ-ქმრულ ცხოვრებას ვენევი — ჩემი მეუღლეც გადაეჩვია სიცილს: ხანდახან ღიმილი თუ გაუკრთება სახეზე, მაშინ მეც ვუღიმი. ერთმანეთს

ჩუმად ვემუსაიფებით. მძულს ყველანაირი ხმაური, რომელიც დარბაზში გაბატონებულ აურზაურს მაგონებს. ვინც არ მიცნობს, ყველას კარჩაკეტილი ვგონივარ. შეიძლება, არც ცდებიან, რადგან ამდენი სიცილით დაღლილს პირის გაღება ისევე და ისევე სიცილს მაგონებს. გაყინული გამომეტყველებით ვუძღვები ცხოვრებას, იშვიათად თუ გამკრავს მცირედი ღიმილი სახეზე და მაშინაც იმაზე ვფიქრობ, ოდესმე თუ გამიცინია გულწრფელად-მეთქი; მგონი, არასოდეს. ჩემი და-ძმა ყოველთვის აღნიშნავენ, რომ მუდამ სერიოზული ბიჭუნა ვიყავი.

ასე რომ, მე, ათასგვარი სიცილის ოსტატს, საკუთარი სიცილი არასოდეს მსმენია.

თარგმნა მირიან რჩაულიძე



**ლიტერატურული გაზეთი**  
 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო  
 საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე  
 რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
 ჟურნალისტი თამარ ყურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940  
 9 772346 794004